გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№120 (25.000) ხუთშაბათი, 3 - 4 ნოემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

# 25 000-ე ნომერი

## 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილეს

*გაიმართა აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომა, რომელზეც პირველ საკითხად 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილეს. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე საკანონმდებლო ორგანომ გაავრცელა*

- პირველად ჩვენი რეგიონის ისტორიაში, რესპუბლიკური ბიუჯეტი 507 მილიონ ლარს აჭარბებს და ველოდებით კიდევ უფრო კარგ საპროგნოზო მაჩვენებლებს, - განაცხადა სხდომაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

თანმდევი პრიორიტეტების დოკუმენტი უმაღლეს საბჭოში კანონით განსაზღვრულ ვადაში შემოვიდა და შესაბამისი მოხსენებებით აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - ჯაბა ფუტკარაძე წარსდგება.

ბიუროს გადაწყვეტილებით, კანონის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი განსახილველად კომიტეტებში ჩაეშვა, განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები. განხილვის პროცედურები იწყება 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტალის შესრულების მიმოხილვასთან დაკავშირებითაც.





„საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - მარინე გვიანიძის განცხადებით, კანონის პროექტი და მისი

სხდომის ბოლო საკითხი, რომელიც უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებს ითვალისწინებს, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა. მომხსენებლის განცხადებით, რეგლამენტის პროექტში გაწერილი ორი ცვლილება ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებებია და თემატური მოკვლევის საკითხის ინსტიტუციონალიზაციასა და ონლაინმექანიზმებით, უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდას ითვალისწინებს.

ბიურომ მხარი დაუჭირა რეგლამენტის პროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას, - აღნიშნულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**ია შველიძე**

## არჩილ ჩიქოვანი ვაჰაგნ ფილიპოსიანს შეხვდა

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან დესპან ვაჰაგნ ფილიპოსიანთან.

მერიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობასა და ურთიერთობების მზარდ დინამიკაზე ისაუბრეს. არჩილ ჩიქოვანმა იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და მომავალშიც ნაყოფიერად გაგრძელდება.

შეხვედრის დასასრულ მხარეებმა სამომავლო პარტნიორობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს.

**ია შველიძე**



**ორი საუკუნის პანორამად** 5

**სოფელ სინდიეთის მარანი** 6

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროპის საბჭოში საქართველოს ახლად დანიშნულ ელჩ თამარ ტალიაშვილს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პერსპექტივას და ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებს. ირაკლი ღარიბაშვილმა ტალიაშვილს ევროპის საბჭოში საქართველოს წარმომადგენლად დანიშვნა მიულოცა და საქმიანობაში წარმატება უსურვა. გუშინვე, პრემიერ-მინისტრმა EBRD-ის პრეზიდენტ ოდილ რენო-ბასოსთან ონლაინ შეხვედრა გამართა. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და EBRD-ს შორის წარმატებულ თანამშრომლობაზე და სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივები განიხილეს.

* * *

სახალხო დამცველმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნიკა გვარამიას მიმართ გუშინ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატა.

როგორც ომბუდსმენმა აღნიშნა, სახალხო დამცველის აპარატმა უკვე მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და გამოითხოვა განაჩენი. „მთავარი არხის“ დამფუძნებელი ნიკა გვარამია გუშინ თბილისის სააპელაციო სასამართლომაც დამნაშავედ ცნო. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მისთვის 3 წლითა და 6 თვის ვადით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა ძალაში დარჩა.

* * *

„გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ოპოზიციური ერთობის მნიშვნელობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ერთიანობის მიღწევა ოპოზიციურ ფლანგზე ახლა ნომერ პირველი ამოცანაა და არსებული „სისტემის“ დემონტაჟის სხვა გზას ვერ ხედავს. „შარშან, ადგილობრივი არჩევნების წინ თუ შეძლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ლელოსთან“ ერთად წინასაარჩევნო ერთობის შეკვრა, როცა „ლელო“ ერთ-ერთი ხელმომწერია 19 აპრილის შეთანხმების (ანუ მაშინ გადაილახა ნდობის პრობლემა), ახლა რატომ გახდა ეს დაუძლეველი პრობლემა, გაუგებარია“, - წერს ჯაფარიძე სოციალურ ქსელში. ცნობისათვის, „ლელო“ „ნაცმოძრაობასთან“ გაერთიანებას არ ემხრობა.

* * *

„ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი პრობლემა არ ექნება არცერთ ოპოზიციურ რეალურ პოლიტიკურ პარტიასთან, თუმცა, მოცემულ პერიოდში ერთ პარტიად ქცევაზე საუბარი და ერთი ნომრით ასპარეზობა იმ არჩევნებზე, სადაც ჯერ კიდევ განუსაზღვრელია ვადა, თუ როდის უნდა ჩატარდეს, არ ემსახურება მიზანს, - ასე შეაფასა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიამ ზურაბ ჯაფარიძის განცხადება ოპოზიციური სპექტრის გაერთიანების შესახებ.

**მოამზადა
ია შველიძემ**

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



**დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93**

# თეატრმა თამარ მაყაშვილი რეპერტუარიდან მოხსნა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„გულწრფელად ვნანობ, მეტი არ ვიცი, რა გავაკეთო, მე მაპატიეთ“ - ამ სიტყვებით მსახიობმა თამარ მაყაშვილმა ბოდიში მოუხადა მოსახლეობას მის მიერ „იმედის“ ეთერში გაჟღერებული დამაკნინებელი ტექსტის გამო. გადაცემაში თამარ მაყაშვილი ყვებოდა, როგორი მკაცრი დედა იყო, ყოველთვის აკონტროლებდა შვილების ჩაცმულობას. „არასოდეს ვაცმევდი სულელურ კაბებს, იმ დღეს გავიხედე და კატოს (რუსკას შვილს) არ აცვია ხულელი ბავშვივით, საშინელი ბეშუმური კაბა? კინაღამ გული გამისკდა, ბავშვს რა ჩააცვა-მეთქი და გავერთეო“, - თქვა მან. ხულოელი ბავშვების დამაკნინებელ კონტექსტში მოხსენიებამ მოქალაქეებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა არაერთხელ მოიხადა ბოდიში, სოციალურ ქსელში საშინელი აგრესიისა და ბულინგის ტალღა აგორდა მისი და მისი ოჯახის მისამართით. ყველაფერთან ერთად, თამარ მაყაშვილთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ბათუმის დრამატულმა თეატრმა, რომლის მსახიობიც გახლავთ თამარ მაყაშვილი:

„ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ემიჯნება თეატრის დასის წევრის, თამარ მაყაშვილის მიერ გამოთქმულ შეურაცხმყოფელი შინაარსის გამონათქვამს. ბათუმის დრამატული თეატრისთვის, რომელიც რეგიონში წარმოადგენს ხანგრძლივი ისტორიისა და ტრადიციის მქონე კულტურის კერას, რომლის მიზანია თეატრალური მხატვრული ნაწარმოების შექმნა და მათი მეშვეობით ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, ტრადიციების პატივისცემა, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა დამკვიდრება და განვითარება, მიუღებელია მსგავსი შინაარსის შემცველი გამონათქვამები. აღნიშნულიდან გამომდინარე, თეატრის სამხატვრო ხლმძღვანელის გადაწყვეტილებით, მსახიობი თამარ მაყაშვილი მოიხსნა მიმდინარე რეპერტუარიდან და მის მიმართ გატარდა შესაბამისი ზომები“ - ნათქვამია განცხადებაში.

თეატრის აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თამარ მაყაშვილს კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა, საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ თეატრისგან ეს ნაბიჯი მეტისმეტია და სჯობდა დასჯერებოდნენ მსახიობის განცხადებისგან გამიჯვნას, რადგან მსახიობის რეპერტუარიდან მოხსნა და ასეთი სადამსჯელო ქმედება საბჭოთა კავშირის დროინდელ ყოფას და ქმედებებს ჰგავს.



- გავიგეთ, რომ ძალიან ცუდად გამოუვიდა...

ტერორისტია, სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდა?!

რაღაცა უკბილო, აბსურდული იუმორის გამო ეგრე დასჯა?! არ თვლის ეგრე და არ უთქვამს მას ცუდი გაგებით, თამარს უყვარს ჩვენი კუთხე... ადამიანს, რომელმაც საჯაროდ სამჯერ მოიბოდიშა, უსათუოდ უნდა შევუნდოთ... ჩემი აზრით, თეატრის მხრიდან არ იყო ეს სწორი გადაწყვეტილება! - წერს ოპერის მომღერალი ბაჩო ნაკაშიძე, თეატრის განცხადებას ასევე გამოეხმაურა პოეტი როინ აბუსელიძე:

- უაღრესად ცუდია, რომ ჩვენ, ერთი შეხედვით მიმტევებელმა ერმა, წინდაუხედავ სიბეცეს და შეცდომას მსგავსი ფორმით ვუპასუხეთ. ბოდიში არის ბოდიში და ვიღაცას თუ ტონი არ მოსწონს, ან ნაკლები ცრემლი ურევია ხმაში და მაგის გამო ასეთ პასუხს ვცემთ - ესეც გადამეტებულია. თეატრი ჩემთვის ის სივრცე და ადგილია, სადაც ზნეობას, კულტურას და მიტევებას უნდა ვსწავლობდეთ. გამიკვირდა ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება, - ნათქვამია მის კომენტარში.

სოციალური ქსელების საშუალებით მსახიობს მხარდაჭერა გამოუცხადეს კოლეგებმაც:

- ადამიანი როცა ბოდიშს იხდის და განიცდის ამ ყველაფერს, კოცონზე უნდა დავწვათ?! სად არის მიტევება და პატიება, რასაც ჩვენი რელიგია გვკარნახობს. ქრისტიანები ვართ და პატიება, შენდობა არ უნდა ვიცოდეთ? ჩავქოლოთ მაშინ ერთმანეთი. ვინც არის უშეცდომო, ქვა იმან ისროლოს, - წერს მსახიობი მერი ნაკაშიძე.

ყველა ვთანხმდებით იმაში, რომ მაყაშვილის მიერ გაჟღერებული ფრაზები ძალიან არასასიამოვნო მოსასმენი იყო, განსაკუთრებულად მტკივნეულად აღსაქმელი ხულოელებისთვის, თუმცა აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები ვართ და არცერთი ჩვენგანი არაა დაზღვეული შეცდომისაგან.

# ცოტნე ანანიძე: შეხვედრების მიზანი არის მოქალაქეობრივი ხარისხის ამაღლების მცდელობა

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე ქობულეთში სატელევიზიო სტუდია „Number one“-ს ესტუმრა. როგორც მან გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას აღნიშნა, შეხვდა სტუდიის აღსაზრდელებს და მათთან საკანონმდებლო ორგანოს სპეციფიკაზე ისაუბრა, გააცნო უფლებამოსილებები და საქმიანობის ძირითადი პრინციპები. შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, ყურადღება გამახვილდა უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებსა და ამ მიმართულებით არსებულ შესაძლებლობებზე. „შევხვდი მოსწავლეებს, რომლებიც არიან სატელევიზიო სტუდია „Number one“-ს წევრები. ის საკითხები, რაზეც შეხვედრისას ვისაუბრეთ, იყო მათი შერჩეული. მსგავსი შეხვედრების მიზანი ყოველთვის არის მოქალაქეობრივი ხარისხის ამაღლების მცდელობა, რასაც საერთო ძალისხმევა სჭირდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ საყოველთაო პროცესში ჩართულნი იყვნენ სკოლის მოსწავლეები, რადგან გრძელვადიან და სტაბილურ დემოკრატიას სწორედ მომავალ თაობებზე გათვლილი ფასეულობები და ინსტიტუციური განვითარება ახასიათებს. მოსწავლეებს ჰქონდათ კითხვები, რომლებიც შეეხებოდა ადამიანის უფლებების სფეროებს, საზოგადოებრივ გამოწვევებს, უმაღლესი საბჭოს საქმიანობას. ასევე ვუპასუხე შეკითხვებს იმ განვლილ პროცესებზე, რომელშიც ვმონაწილეობდი. რა თქმა უნდა, მსგავსი შეხვედრები სასარგებლო და აუცილებელია. აქვე მადლობას ვუხდი მასწავლებლებს, რომლებიც განათლებასთან ერთად ცდილობენ კარგი მოქალაქეები აღუზარდონ ჩვენს ქვეყანას, - გვითხრა ცოტნე ანანიძემ.



შეგახსენებთ, რომ პოლიტიკოსი ცოტნე ანანიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას 2016 წლის ნოემბრიდან იკავებს, მანამდე კი იგი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის პირველი მოადგილე იყო მაუწყებლის დარგში.

# რა მოხდებოდა, პენალტი რომ დაენიშნათ?

საუბარია პენალტზე, რომელიც „ნაპოლისა“ და „ლივერპულის“ მატჩის დროს ხვიჩა კვარაცხელიას წაქცევისთვის უნდა დანიშნულიყო. ვინ იცის, რა იქნებოდა, ეს პენალტი კვარას რომ გაეტანა ლივერპულელთა კარში?! ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ორივე გოლი „ლივერპულმა“ მხოლოდ მას შემდეგ გაიტანა, რაც ხვიჩა კვარაცხელია მწვრთნელმა მოედნიდან გაიყვანა და „ნაპოლს“ 2;0 მოუგო.

ყოფილმა იტალიელმა მსაჯმა გრაციანო ჩეზარიმ, რომელიც ამჟამად საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, Mediaset Infinity-ს ეთერში განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგაზე „ლივერპულთან“ მატჩისას „ნაპოლის“ ნახევარმცველი ხვიჩა კვარაცხელია საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერეს და გერმანელ არბიტრ ტობიას შტილერს პენალტი უნდა დაენიშნა.



„ეს არ იყო კონტაქტი მხრით მხარზე, კონატე მას ზურგზე შეეხო და თერთმეტმეტრიანის დანიშვნა მართებდა. „კვარა“ სწრაფად მიიწევდა წინ და ასე მისი შეჩერება არ შეიძლებოდა. ეს ეპიზოდი მეტ ყურადღებას იმსახურებდა და VAR-ი უნდა ჩარეულიყო“.

ამ წაგების მიუხედავად „ნაპოლი“ ჯგუფში მაინც პირველი ადგილზეა. მატჩის შემდეგ კომენტარი ნეაპოლური გუნდის მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ გააკეთა:

„ვთვლი, რომ შესანიშნავი ფეხბურთი ვაჩვენეთ. დროის უმეტეს ნაწილში ბურთს კარგად ვფლობდით და მომენტებს ბალანსის შენარჩუნებითა და რაიმე დანაკარგის გარეშე ვქმნიდით. ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს. აქ ჩამოსვლა და ასე თამაში ადვილი არ არის. ბოლოს მქონდა შეგრძნება, რომ ჩემმა გუნდმა იცოდა რა, რომ ასეთ უპირატესობას ფლობდა, ცოტა ტემპს მოუკლო. მეტოქემ კი შესაძლებლობები უნარიანად გამოიყენა.

ფრეთი დაკმაყოფილების ნაცვლად გამარჯვებისთვის ვიბრძოდით. ამ შეხვედრებმა დაადასტურა, რომ როგორც ტექნიკურად, ასევე ფიზიკურად მაღალ დონეს მივაღწიეთ. მენტალურადაც მოწოდების სიმაღლეზე ვიყავით. მოგება შეგვეძლო. გვაქვს საკუთარი თავის რწმენა. ამ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა სტრატოსფერული შედეგია“.

„ნაპოლისთან“ გამარჯვების შემდეგ „ლივერპულის“ მთავარ მწვრთნელს, იურგენ კლოპს ხვიჩა კვარაცხელიასა და ტრენტ ალექსანდერ-არნოლდის დაპირისპირებაზე ჰკითხეს.

„ორივე ბრწყინვალე ფეხბურთელია. ისაუბრებენ მომენტზე, როცა ტრენტი მის წინააღმდეგ დასწრებაზე თამაშს ცდილობდა. კვარაცხელია ძალიან კარგი ფეხბურთელია, ძალიან სწრაფია. ის თავხედია, როცა მოძრაობას იწყებს, პოზიციურად არ უნდა შეცდე, მის წინ უნდა იმოქმედო, სხვა შემთხვევაში ვერ გაანეიტრალებ და თანაგუნდელის დახმარება დაგჭირდება. კვარაცხელიას ფლანგის გარდა ცენტრშიც შესანიშნავად შეუძლია თამაში... ვფიქრობ, ტრენტმა მის წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა“.

კლოპმა ასევე განაცხადა: „ვფიქრობ, შესანიშნავი გუნდის წინააღმდეგ ვითამაშეთ. „ლიდსისთან“ მარცხის შემდეგ რეაქცია ვაჩვენეთ. მეტოქეს სივრცეები შევუზღუდეთ, სწორად ვიმოქმედეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ“.

Sofascore-მა ხვიჩა კვარაცხელიას 6,9 დაუწერა. მისი საგოლე პასით ოსტიგორმა გოლი გაიტანა, თუმცა VAR-მა გააუქმა. ასევე აღსანიშნავია, რომ მის ფლანგზე მოთამაშე ტრენტ-ალექსანდერ არნოლდს არაერთხელ აჯობა. GOAL-ი ხვიჩას თამაშს ასე გამოეხმაურა: „ფლანგის მცველების ღამის კოშმარი“.

მარი მიდასელი

# ახალი ინვენტარი გადაეცა

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

რამდენიმე წლის წინ დაბა ხულოს ბაგა-ბაღი ამ ტიპის ერთადერთი დაწესებულება იყო მუნიციპალიტეტში. ახლა მათი რაოდენობა, ალტერნატიული ბაღების ჩათვლით, 25-ზე მეტია. კიდევ რამდენიმე დასახლებაში დედები მათ გახსნას ითხოვენ. ახალი ინვენტარით ბაგა-ბაღების მომარაგება, მატერიალური ბაზის გაუმჯობესება ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის უპირველეს საქმედაა მიჩნეული.



ამ დღეებში დაბა ხულოს საბავშვო ბაღს ახალი ინვენტარი გადაეცა.

პროექტი ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, თბილისის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

# რა როლს ასრულებს პოლიტიკური იდეოლოგიები არჩევნებისა და, ზოგადად, ქვეყნის განვითარებაში?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69



*ძლიერი, შემდგარი ქვეყნის საფუძველი და გარანტი რომ დემოკრატიული, სწორი მმართველობაა, ეს აქსიომაა. აქსიომაა ისიც, რომ ეს არჩევნების გზით მიიღწევა, ხოლო არჩევნების ჩატარებას, უპირველესად, მისი იდეოლოგიური უზრუნველყოფა განაპირობებს. ამდენად, ქვეყნის პოლიტიკური იდეოლოგიები ამ პროცესში მთავარ როლს ასრულებს და მნიშვნელოვანია არჩევნებში მონაწილე პარტიების არა მარტო იდეოლოგიური შეხედულებებისა და სამოქმედო წესების სათანადოდ დამუშავება, მათი სრულყოფა და ქმედითობა, არამედ ამ ძლიერი პოლიტიკური არსენალის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის, ახალგაზრდებისთვის. ამ აქტუალურ საკითხებზე საუბრისთვის საჯარო მმართველობის დოქტორს, ბსუ-ის ლექტორ გიგა ფარტენაძეს მივმართეთ.*

**- თქვენმა საჯარო ლექციამ თემაზე: „პოლიტიკური იდეოლოგიები და არჩევნები“ რა კუთხით დააინტერესა მსმენელი?**

- ჩვენი ინტერვიუ მინდა დავიწყო განსაკუთრებული მადლობით იმ სტუდენტებისადმი, რომლებმაც აღნიშნული შეხვედრის სურვილი გამოთქვეს, აგრეთვე ვემადლიერები ყველა მონაწილეს, ისინი თავიანთი გადატვირთული სტუდენტური გრაფიკის მიუხედავად, ინტერაქტიულად იყვნენ ჩართულები ჩვენს საჯარო ლექციაში. როგორც მოგეხსენებათ, პოლიტიკური იდეოლოგიები განსაზღვრავს პოლიტიკურ პარტიათა მოქმედების ერთგვარ სახელმძღვანელოს და შესაბამისად, ახალგაზრდების ინტერესიც სწორედ მმართველობის პროცესში პოლიტიკური პარტიების მიერ გამოქვეყნებული იდეოლოგიური საკითხების რეალიზებას შეეხებოდა. ძირითადად, აინტერესებდათ მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური იდეოლოგიის პრაქტიკული მაგალითები. ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო, ზუსტად, კონკრეტულად და გასაგებად, უფრო მარტივად გვესაუბრა ამ რთულ საკითხზე. ვეცადე, მარტივი ენით გადმომეცა მსმენელთათვის.

**- ძირითადად, რა თემებზე გაამახვილეთ ყურადღება და რა ასპექტები გამოყავით?**

- ჩვენი შეხვედრის ძირითადი მიმართულება გახლდათ პოლიტიკური იდეოლოგია - მემარჯვენეობა და პოლიტიკური იდეოლოგია - მემარცხენეობა, მათი დეფინიციები, მოქმედების არეალები, გავლენა ეკონომიკაზე, ადამიანის უფლებებზე, კერძოდ, საკუთრების უფლების ფლობის ხარისხებსა და რეალიზებაზე, ზოგადად, ხელისუფლებაში მყოფი პარტიების მმართველობის ფორმაზე, მათი პოლიტიკური იდეოლოგიური კუთვნილების მიხედვით.

**- გასაბჭოების შემდეგ საქართველოში პირველი დემოკრატიული არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა და ამდენად, საყურადღებოა საარჩევნო მარათონში ჩართული პარტიების პოლიტიკური იდეოლოგიების დამახასიათებელი ნიშნები...**

- ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ძირითადად, გამოიკვეთა უკიდურესი მემარჯვენეებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, როგორიცაა არის პატრიოტიზმი და ეროვნულობა. საზოგადოებას ახსოვს იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების ხაზგასმული საუბრები „ქართველობასა და საქართველოზე“, რაც სწორედ მის მემარჯვენეობაზე მეტყველებდა.

**- სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, 1992 წლის შემოდგომაზე ქვეყანაში გამართული არჩევნები რამდენად ლეგიტიმური იყო და აქვე თანმდევი კითხვა: როგორც ვიცით, მაშინდელ პარლამენტში პოლიტიკური პარტიების უმეტესობა მოხვდა, ეს რა ფაქტორებმა განაპირობა?**

- დიახ, ფაქტობრივად, სწორედ 1992 წლის არჩეული პარლამენტი რჩება ერთ-ერთ ყველაზე მრავალპარტიულ და „ჭრელ“ პარლამენტად ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. ვფიქრობ, რომ აქ გადამწყვეტი როლი არა პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურმა ხაზმა, არამედ საარჩევნო ბარიერმა იქონია. როგორც ვიცით, ზემოაღნიშნული არჩევნები ჩატარდა ორპროცენტიანი ბარიერით, რაც, ფაქტობრივად, გახდა იმის ძირითადი მიზეზი, რატომ გაჩნდა სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებელი პარტიების წარმომადგენლობა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში.

**- არც ისაა დასამალი, რომ 1990 წლის არჩევნების გარდა, ოპოზიცია ყველა სხვა არჩევნებს არალეგიტიმურად მიიჩნევდა, ეს პრეტენზიები რამდენად არგუმენტირებული იყო?**

- ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც ის არ ასახავს ქვეყნის შიგნით არსებულ განწყობებსა თუ რეალურ სურათს და არ არის დემოკრატიულად არჩეული. აქვე უნდა გავითვალისწინოთ 90-იანების დასაწყისის საქართველოს შიდა პოლიტიკური სიტუაცია: პოლიტიკურად, ეკონომიკურად თუ სოციალურად არასტაბილურმა სიტუაციამ განაპირობა ის, რომ საზოგადოება იმყოფებოდა შოკურ მდგომარეობაში, არ შეეძლო ეფიქრა პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურ მიმართულებებზე. ფაქტობრივად, სახელმწიფოს, როგორც ასეთის, მშენებლობა იწყება ნულიდან.

**- სხვათა შორის, მრავალი ექსპერტი აცხადებს, რომ 2003 წლის ნოემბრის არჩევნები რომ არ გაყალბებულიყო, ანუ მმართველ პარტიას ეღიარებინა „ნაცმოძრაობის“ გამარჯვება, ვარდების რევოლუცია არ მოხდებოდა, რას ფიქრობთ?**

- ვფიქრობ, რომ საჭირო დროს და საჭირო ადგილას, უფრო სწორად ისტორიის მართალ მხარეს აღმოჩნდნენ ვარდების რევოლუციის მთავარი შემოქმედნი საზოგადოებასთან ერთად. ბუნებრივია, ზემოთ ხსენებული გარემოების შემთხვევაში შესაძლებელია სახელმწიფო რეფორმები შედარებით ნელი ტემპით განხორციელებულიყო, მაგრამ საერთო საზოგადოებრივი განწყობა იყო - უარი შევარდნაძის მმართველობას, რაც, ფაქტობრივად, გაფორმდა რევოლუციით, რამაც დააჩქარა ქვეყნის ინსტიტუციური გაძლიერების წინაპირობები.

**- 2012 წლის არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ მარცხი რა ფაქტორებმა განაპირობა და ამჟამად მმართველი პარტია რა გამოწვევების წინაშეა?**

- „ქართული ოცნების“ გამარჯვება თავად „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს გადადმულმა არასწორმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა განაპირობა. დღევანდელი „ქართული ოცნება“ არაფრით აღარ ჰგავს 2012 წელს იდეით გაერთიანებულ პოლიტიკურ ერთობას. ახლა მათ წინაშე მთავარი გამოწვევა „ნაცმოძრაობის“ „განეიტრალება“ კი არა, საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაცია უნდა იყოს, რაც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებასთან, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, განათლების სისტემის რეფორმირებასთან, ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენასთან და ა. შ.

**- როგორც ცნობილია, საქართველოში არჩევნებში, ძირითადად, ორი ძალა („მრგვალი მაგიდა“ - „კომუნისტური პარტია“, „მოქალაქეთა კავშირი“ - „ნაცმოძრაობა“, „ნაცმოძრაობა“ - „ქართული ოცნება“) უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მესამე ძალა რატომ არ ჩანს ჰორიზონტზე?**

- პოლიტიკურ მარათონში პარტიათა პოზიციონირება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. პირველი - ეს არის საზოგადოების ნდობა, მეორე - დაბალი საარჩევნო ბარიერი და მესამე - შესაბამისი ფინანსები. თქვენს შეკითხვაშივე შეგვიძლია ვეძიოთ პასუხი, ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ მემკვიდრეობით ერგო ქართულ პარტიათა სისტემას, იყოს ორ პარტიას შორის დაპირისპირებები, რომლებიც თავის თავში გააერთიანებენ სხვადასხვა პარტიას და კოალიციურად იქნებიან წარმოდგენილი არჩევნებში. მესამე ძალის მიზიდულობის ცენტრის გაჩენა ამ ორის სისტემურად უარყოფას უნდა გულისხმობდეს, რაც ქართულ პრაქტიკაში რთულად მოსაძიებელია.

**- ამჟამად პარტიებს თუ აქვთ გამოკვეთილი იდეოლოგიები? დროდადრო მემარჯვენე ძალა ულტრამემარცხენე იდეებს ქადაგებს, მემარცხენე ძალა კი მკვეთრად კონსერვატიულ თეზისებს აფრქვევს, ეს რისი მანიშნებელია?**

- ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში დაბალი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კულტურაა, რაც განსაკუთრებით ქართულ პოლიტიკურ ველზე იკვეთება. პარტიათა ინტერესი მოსახლეობის პოლიტიკური იდეოლოგიით გაერთიანებას კი არ გულისხმობს, არამედ - კარგად გაყიდვადი პოპულისტური საკითხების ირგვლივ მობილიზებას.

**- საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყანაში აღარ გაიმართება, რამდენად მართებულია საპრეზიდენტო ინსტიტუტის ნიველირება გართულებული საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით?**

- საქართველო კონსტიტუციით არის საპარლამენტო მმართველობის მქონე ქვეყანა, რამაც განაპირობა ქვეყნის პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილება, რაც, ვფიქრობ, შეესაბამება ევროპულ პრაქტიკას. კოლეგიის მიერ არჩეულ პრეზიდენტსაც შეუძლია იყოს ძლიერი, დამოუკიდებელი და ქვეყნის ინტერესების გამტარებელი, თუკი ამის პოლიტიკური ნება იარსებებს.

**- უდავოა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებს დასავლეთი დიდი ყურადღებით დააკვირდება, ამ მხრივ კითხვის ნიშნები რომ არ წარმოიშვას, ხელისუფლებამ რა უნდა მოიმოქმედოს?**

- ვფიქრობ, რომ მომავალ არჩევნებამდე ჩვენმა ხელისუფლებამ ოპოზიციასთან ერთად უნდა იზრუნოს, რომ საქართველომ ისტორიული შანსი ხელიდან არ გაუშვას, - უნდა შევასრულოთ თორმეტი რეკომენდაცია, რომელიც გაიცა ევროკომისიის მიერ და ამის შემდეგ უნდა ვისაუბროთ 2024 წლის საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებზე. ხელისუფლებამ უნდა გამოხატოს პოლიტიკური ნება და საზოგადოებასთან ერთად იზეიმოს ის წარმატება, რომელსაც თორმეტი რეკომენდაციის შესრულების შედეგად კანდიდატის სტატუსის მინიჭება ჰქვია.

**- დაბოლოს, დღესდღეობით რა სტადიაშია ოპოზიცია და რა ელის მომავალში?**

- ქართულ ოპოზიციას არ ძალუძს არსებული ხელისუფლების შეცვლა. მათ არ გააჩნიათ ამის პოლიტიკური რესურსი, რადგან საზოგადოების განწყობებს არ პასუხობს, ვერ ასახავს მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი, ან თუ ასახავს, ეს არ ქმნის მოქალაქეთა განწყობის სრულ სურათს. საზოგადოების ნდობა აღარ გააჩნია როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას, ამის შეცვლა კი, ვფიქრობ, საკადრო და სწორხაზოვანი პოლიტიკით არის შესაძლებელი.

***„ ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში დაბალი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კულტურაა, რაც განსაკუთრებით ქართულ პოლიტიკურ ველზე იკვეთება. პარტიათა ინტერესი მოსახლეობის პოლიტიკური იდეოლოგიით გაერთიანებას კი არ გულისხმობს, არამედ - კარგად გაყიდვადი პოპულისტური საკითხების ირგვლივ მობილიზებას***

## ესპანეთი უკრაინას დაეხმარება



უკრაინა ესპანეთიდან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს, საჰაერო თავდაცვის სისტემებს, ქვემეხებსა და ჭურვებს მიიღებს, - ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ კიევში ესპანელ კოლეგა ხოსე მანუელ ალბარესთან გამართულ საერთო ბრიფინგზე განაცხადა. „ძალიან მიხარია, რომ ახალი პაკეტი უკვე არის, ის უკვე უკრაინისკენ გზაშია და უახლოეს დროში ჩვენი სახელმწიფო გააძლიერებს საკუთარ თავდაცვისუნარიანობას, როდესაც მიიღებს Aspide საზენიტო-სარაკეტო კომპლექსსა და მის რაკეტებს, Hawk საჰაერო თავდაცვის ოთხ სისტემას, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებს, ქვემეხებსა და მათ ჭურვებს, ასევე სხვა სამხედრო აღჭურვილობას“, - განაცხადა კულებამ. მისი თქმით, რამდენიმე კვირის წინ ესპანეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, უკრაინას Hawk სისტემები გადასცეს, სიგნალი გახდა სხვა სახელმწიფოებისთვის, რათა ამ სისტემების ძიება დაიწყონ უკრაინისთვის გადასაცემად. „ეს სწორედ ისაა, რასაც ესპანეთს ვთხოვდით, ეს არის ის, რაც ჩვენი სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაცვაში დაგვეხმარება“, - დასძინა კულებამ.

**ამირან გურიელიძე**

## უცხოეთი

რუსეთი მარცვლეულის ექსპორტის შეთანხმებაში მონაწილეობას განაახლებს, - ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს. სერგეი შოიგუს უწყებაში განმარტავენ, რომ შესაძლებელი გახდა ჰუმანიტარული დერეფნისა და უკრაინის პორტების რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ „სამხედრო ოპერაციების“ გამოუყენებლობის შესახებ საჭირო წერილობითი გარანტიების მიღება ოფიციალური კიევისგან. „რუსეთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ ამ მომენტში მიღებული გარანტიები საკმარისად გამოიყურება და განაახლებს ხელშეკრულების შესრულებას“, - აღნიშნულია რუსეთის თავდაცვის უწყების განცხადებაში. მარცვლეულის ექსპორტის ინიციატივაში რუსეთის მონაწილეობის განახლებაზე ცნობები დაადასტურა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმაც.

* * *

ირანელი ინსტრუქტორები და ტექნიკური პერსონალი ყირიმში განლაგდნენ, რათა უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობასა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე დრონებით დარტყმაში რუსებს დაეხმარონ, - განაცხადა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სპიკერმა ჯონ კირბიმ. მისი თქმით, ომში ირანის რუსეთის მხარეს ჩართულობა თვალსაჩინო ხდება მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ირანის მიერ რუსეთისთვის რაკეტების გადაცემის მტკიცებულებები არ გააჩნიათ. „ირანი აგრძელებს რუსეთის მხარდაჭერას, ასევე, უკრაინელების მკვლელობაში მის დახმარებას. როგორც მინიმუმ, ჩვენ ვსაუბრობდით იმაზე, რომ ისინი დრონებს აწვდიან“, - აღნიშნა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სპიკერმა.

* * *

ისრაელში 1 ნოემბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში, წინასწარი შედეგების თანახმად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს ბლოკი ლიდერობს. არსებული მონაცემებით, ნეთანიაჰუს მემარჯვენე ბლოკი 120-ადგილიან პარლამენტში 72 მანდატს მიიღებს, თუმცა ეს რიცხვი, შესაძლოა, ბიულეტენების დათვლის შემდეგ შეიცვალოს. მანამდე ეგზიტ-პოლების შედეგები გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც, ყოფილი პრემიერის ბლოკი პარლამენტში 61-62 ადგილს მოიპოვებს, ხოლო ალიანსი, რომელიც მხარს უჭერს მოქმედ პრემიერ-მინისტრ იაირ ლაპიდს - 54 ან 55 ადგილს.

* * *

ჩრდილოეთ კორეამ გუშინ მინიმუმ 10 ბალისტიკური რაკეტა გაუშვა, - ინფორმაციას მედიასაშუალებები სამხრეთ კორეის სამხედრო უწყების წარმომადგენელზე დაყრდნობით ავრცელებენ. სამხრეთ კორეის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ერთ-ერთი რაკეტა ქვეყნის სანაპირო ზოლიდან აღმოსავლეთით სულ რაღაც 57 კილომეტრში ჩამოვარდა. „ჩრდილოეთ კორეის რაკეტის გაშვება ძალიან უჩვეულო და მიუღებელია, რადგან ის პირველად დაეცა სამხრეთ კორეის ტერიტორიულ წყლებთან ახლოს „ჩრდილოეთის ლიმიტის ხაზის“ სამხრეთით“, - განაცხადა სამხრეთ კორეის გაერთიანებული შტაბის ოპერაციების დირექტორმა, კანგ შინ-ჩულმა. რაკეტების გაშვებამდე რამდენიმე საათით ადრე ფხენიანმა ვაშინგტონსა და სეულს რეგიონში მიმდინარე ერთობლივი სამხედრო წვრთნების შეწყვეტა მოსთხოვა.

**მოამზადა**
**ია შველიძე**

# მარინა ზვიადაძე – პარიზის ბასტილიის თეატრის სოლისტების გუნდის წევრი

*20 წელია, რაც* ***მარინა ზვიადაძე*** ***საფრანგეთში, პარიზში ცხოვრობს. სამშობლოდან წასვლა ადვილი არ იყო, აქ ტოვებდა არა მარტო ოჯახს, სამშობლოს, არამედ შემდგარი, პოპულარული დრამატული სოპრანოს სახელსაც, რომლის მისაღწევადაც არაერთი წელი, ბევრი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა. ბათუმელებს ახსოვთ მისი ლამაზი ტემბრის ხმა, შესრულების ოსტატობაც და არტისტული თვისებებიც. წავიდა იმ პერიოდში, როცა ბათუმის ოპერის თეატრი გაუქმდა, სწორედ ამ თეატრის სპექტაკლების მთავარ პარტიებს (ეთერი „აბესალომ და ეთერიდან“, ლელა „ლელადან“, აიდა „აიდადან“, დეზდემონა „ოტელოდან“) ასრულებდა იგი წლების განმავლობაში.***

*სცენიდან ვარსკვლავივით ანათებდა, თუმცა რეალურ ცხოვრებაში სულაც ვერ გრძნობდა თავს ვარსკვლავად, საყოფაცხოვრებო პრობლემები ისე მოეძალა, რომ ერთ დღესაც გადაწყვიტა, იქ წასულიყო, სადაც თავის პროფესიაში რეალიზებას შეძლებდა. მისი მეგობარი ნონა ჯავახაძე, რომელიც ბათუმის ოპერის თეატრიდან კარგა ხანია წასულიყო და კარიერაც აეწყო პარიზში, ეძახდა, დახმარებას ჰპირდებოდა, რომ მარადიულ ქალაქში საკუთარი ადგილი ეპოვა.*

*თავიდან ძალიანაც გაუჭირდა, არაერთი სირთულე გადაიტანა, გაუძლო პირველი წლების გულისწამღებ მარტოობასაც, ენის, ცხოვრების, სამუშაოს პრობლემებსაც და დღეს იგი საფრანგეთის სრულუფლებიანი მოქალაქე, პარიზის ბასტილიის ოპერის თეატრის გუნდის მომღერალი და დებიუტანტი ვოკალისტების წარმატებული მასწავლებელია. სწორედ ამიტომ გაუჩნდა ბათუმის საოპერო სტუდიის ხელმძღვანელ მარინა ჯახუტაშვილს ბათუმში მისი მასტერკლასების ჩასატარებლად მოწვევა. მართლაც, ეს ჩანაფიქრი წარმატებით განხორციელდა და როგორც ბათუმის საოპერო სტუდიის ახალგაზრდა მომღერლებმა თქვეს, მარინას სწავლებამ ბევრი რამ შესძინათ ვოკალის ტექნიკის თვალსაზრისით. მიუხედავად დიდი გამოცდილებისა და ცხოვრების სკოლის უმეტესი ნაწილის გავლისა, კვლავ ისეთივე გულწრფელი, ლაღი და ხალასი, შინაგანად მართალია, როგორიც წასვლამდე იყო. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში დაიბადა და გაიზარდა, ბათუმი მის ქალაქად იქცა, აქაურებიც ისევე აღიქვამდნენ, როგორც თანაქალაქელს. თავს ბათუმელად რომ არ გრძნობდეს, საქართველოში ყოველი ჩამოსვლისას ბათუმს არ მოაკითხავდა, ყველა ნაცნობ მეგობარს არ მიაკითხავდა და მოესიყვარულებოდა. ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება მასთან ჩვენი საუბარი.*



*„მიღების კრიტერიუმებია ძალიან მკაცრი, რადგან პარიზის ოპერის გუნდი ითვლება სოლისტების გუნდად. ასე ეძახის ყველა. წელიწადში ერთხელ გუნდის მომღერლებისთვის ბასტილიის თეატრში ეწყობა სპეციალური მოსმენა და ძალიან ხშირად სხვადასხვა როლზე აჰყავთ ხოლმე გუნდის მომღერლები. მე პირადად ათამდე როლი მიმღერია ბასტილიის თეატრში*

**- რა განსხვავებაა იმ მარინას, რომელმაც პირველად დაადგა ფეხი საფრანგეთის მიწას და იმას შორის, რომელიც ახლა ჩამოვიდა ბათუმში?**

- 25 წელი და ამდენივე კილო (იცინის)... ძირითადად, ესაა. ასევე, რა თქმა უნდა - ცხოვრებისეული გამოცდილება. არავინ იცის წინასწარ, როგორ დაიმკვიდრებს ადგილს.

**- ეს იყო ერთგვარი გამოცდა, რომელიც შენ ჩააბარე, როგორ?**

- ერთ-ერთ კონცერტზე საფრანგეთის საელჩოში საქართველოში გავიცანი ადამიანები, ვინც დახელოვნების მიზნით, ოსტატობის ასამაღლებლად პარიზის ალფრედ კოკტოს სახელობის კონსერვატორიაში კურსის გავლა შემომთავაზეს. ეს უმაღლესი სასწავლებელი საკმაოდ პრესტიჟულია, აქ ბევრი ცნობილი მომღერალი გაიზარდა. ამას გარდა, პარიზში დამკვიდრება გამიადვილა ჩემი მეგობრის, მომღერალ ნონა ჯავახიძის დახმარებამ. იგი ჩემზე ბევრად ადრე წავიდა საფრანგეთში. ძალიან მაინტერესებდა ფრანგული რეპერტუარი. დავამთავრე სრული კურსი და დიპლომში წერია: კონცერტისტი, პირველი პრემია ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით და მოლოცვით. გამოცდა რომ ჩავაბარე, პირველი პრემია მომაკუთვნეს ერთხმად. საფრანგეთში დიპლომს აქვს, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ხარისხი - პირველი, მეორე, მესამე, რასაც შესაბამისი პრემიის მინიჭებით გამოხატავენ.

**- სკოლა, რომელიც გაიარე საქართველოში, რამდენად ღირებული აღმოჩნდა?**

- ამ სკოლით დავიწყე სიმღერა და უკვე მომღერალი ვიყავი, როცა წავედი საზღვარგარეთ. ყველაფერი, რაც აქ შევიძინე, იყო ბაზა, რომელიც მე შემდეგ განვავითარე. სხვადასხვა პედაგოგთან მომიწია მუშაობა. მაინტერესებდა მათი აზრი, სხვადასხვა სკოლა, მიმდინარეობა ვოკალურ პედაგოგიკაში. გერმანიაშიც გავემგზავრე, იქური სკოლა რომ გამეცნო, დამეხვეწა ტექნიკა, რაღაც დამემატებინა. ასე ნელ-ნელა ჩამომიყალიბდა ჩემი სტილი. ყველა მომღერალს თავისი სტილი აქვს. ორი ერთნაირი მომღერალი არ არსებობს.

**- რა იყო შენთვის ახალი ფრანგულ სკოლაში?**

- ვოკალური სიმღერის ტექნიკური დეტალები, ფრანგებს არ უყვართ ზეწოლა ხმაზე. ძალიან ხმამაღალი სიმღერა. უფრო კონცენტრირებული ბგერით სიმღერა და მსუბუქი ხმები უყვართ. მძიმე ფართო ხმებს დიდად არ იწონებენ. ასეთია მათი ესთეტიკა სიმღერაში, აი, გერმანელებს კი ძლიერი ხმები უყვართ.

**- შენთვის უფრო ორგანული რომელი სკოლაა, რომელს უფრო მოერგე? თუმცა გარემოება მოითხოვდა, რომ - ფრანგულს.**

- კი და ამიტომ ჩემთვის უფრო შუალედური მოვძებნე, რომელიც საშუალებას მომცემდა, მემღერა სავსე ხმით და ამავე დროს ხმისთვის გარკვეული სიმსუბუქე და სილაღე მიმეცა. ამ ორი სკოლის შეზავებამ მომცა ამის საშუალება. არ იყო ეს ადვილი, მაგრამ ჩემს ხმას ვერ შევცვლიდი. ამიტომ მოვარგე ეს ტექნიკა ჩემს ხმას.

**- სწორედ შენი უცხოური გამოცდილება იყო იმ მასტერკლასების ამოსავალი წერტილი და რა ცოდნაც გადაეცი ბათუმელ ვოკალისტებს, მათთვის იყო ახალი, მიუხედავად იმისა, რომ ბაზა კარგი აქვთ.**

- ბაზა უდავოდ კარგი აქვთ. დიახ, იმიტომაც ვიყავი მოწვეული, რომ რაღაც კიდევ შემემატებინა. 40 წლის წინ მეც ძალიან მოწადინებული ვიყავი, რომ რაღაც ახალი მომესმინა, მასტერკლასებზეც დავდიოდი, სხვის გაკვეთილებსაც ვესწრებოდი, მაინტერესებდა, ვინ როგორ მღეროდა, რა ტექნიკა ჰქონდა, რას აკეთებდა ამა თუ იმ ბგერაზე. მომღერლის პროფესია ურთულესია, აქ არ შეიძლება რაღაცაზე გაჩერდე, სულ ძიებაში უნდა იყო. თუ გაჩერდი, შესაძლოა, უკან-უკან წახვიდე.

**- რა ქმნის მომღერალს მომღერლად?**

- ჯერ უნდა ჰქონდეს პირველადი მასალა ანუ ხმა, რაც ბუნებამ მისცა, მერე სწორი ტექნიკა, რაც პედაგოგმა შესძინა, ძალიან ბევრი უნდა იშრომოს და მთელი კარიერის განმავლობაში არ შეწყვიტოს განვითარება, დახვეწა.

**- როგორ შეეჩვიე საფრანგეთს, თავს გრძნობ პარიზელად?**

- თავიდან რთული იყო - ენა უნდა ისწავლო, საზოგადოებას შეერწყა, იქაური წესი უნდა მიიღო, იქაური მენტალიტეტი გაითავისო. რასაკვირველია, გამიჭირდა, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო კომფორტულად ვგრძნობდი თავს. საერთოდ, ძალიან ადვილად შემიძლია ადაპტაცია. დეპრესიაში არ ჩავვარდნილვარ. ვიცოდი, რომ უნდა მეშრომა, უნდა გამეკეთებინა ბევრი რამ და ამან ბოლოს გამოიღო შედეგი.

**- გქონია თუ არა შემთხვევა, რომ საფრანგეთში საქართველოსთვის რაღაც კარგი გაგეკეთებინა?**

- რუსეთის ეს ომი უკრაინასთან, ჩემთვის საქართველოს ომიცაა, რადგან საქართველოსაც იგივე პრობლემები აქვს, რაც უკრაინას. ჩვენ ეს გამოვიარეთ 14 წლით ადრე, უარეს დღეში ვიყავით, რადგან უკრაინას, საბედნიეროდ, მთელი მსოფლიო ეხმარება. უბედური საქართველო 2008 წელს მარტო იყო ამ ურჩხულის პირისპირ. ამიტომ იმის პროეცირებას, რაც ახლა ხდება უკრაინაში, საქართველოზე ვაკეთებ. რაც შემეძლო, ვცდილობდი, ჩემი წვლილი შემეტანა მის მხარდაჭერაში. ბასტილიის თეატრში, სადაც ვმუშაობ, ჩემი და ჩემი რუსი კოლეგის ინიციატივით, შევკრიბეთ ვისაც რა შეგვეძლო და ერთი დიდი დატვირთული მანქანა ჩვენი თეატრის სახელით გაემართა უკრაინის ლვოვის თეატრში. მერე ისინი ალბათ გაგზავნიდნენ ფრონტზე. გარდა ამისა, არაერთი კონცერტი ჩატარდა საფრანგეთში უკრაინის მხარდასაჭერად და სადაც კი მიმიწვიეს, ყველგან დიდი სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა და შეკრებილი თანხა გადავეცით შესაბამის ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს.

**- მომიყევი თეატრზე, სადაც მუშაობ. ბასტილიის თეატრზე.**

- ისტორიას თუ გადავხედავთ, საერთოდ, საოპერო თეატრის დაარსება ლუდოვიკო მე-14-ის ინიციატივა იყო. დაიწყო კარის თეატრით, რომლის სპექტაკლებში თვითონაც მონაწილეობდა. ძალიან უყვარდა საბალეტო სცენებში ცეკვა. ბასტილიის თეატრი აშენდა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, რადგან პარიზის ერთადერთი თეატრი პალე გარნიე მაყურებელს ვერ იტევდა. უნდოდათ, გაეფართოებინათ რეპერტუარიც, მეტი სპექტაკლი დაედგათ. პრეზიდენტის ინიციატივით მოხდა ეს. მოკლედ, პარიზის ნაციონალური ოპერა დღესდღეობით ორ საოპერო სახლს შეიცავს. ესაა პალე გარნიესა და ბასტილიის თეატრები. რეპერტუარი ისეა განაწილებული, რომ ორივე თეატრში პარალელურად მიდის წარმოდგენები. ბალეტი და ისეთი ოპერები, სადაც არ არის საჭირო ძალიან დიდი დეკორაციები, ანუ უფრო პატარა ოპერები, პალე გარნიეში იდგმება, ხოლო უფრო მასშტაბური, რომლებსაც სჭირდება დიდი სივრცე, დიდი გუნდი, მეტი სოლისტი, იდგმება ბასტილიის თეატრში, რადგან უფრო დიდია, 2500 მაყურებელი ეტევა. რეპერტუარი არის ძალიან მრავალფეროვანი, ბაროკოს ეპოქის ოპერებიდან, ანუ მე-17-18 საუკუნეებიდან დაწყებული თანამედროვეთი დამთავრებული

**- თუ შეიძლება ითქვას, რომ პარიზი არის საოპერო მუსიკის ავანგარდში, რომლის შესაბამისი ოპერებიც იდგმება?**

- იშვიათად, მაგალითად, ფრანგი კომპოზიტორის იტალიური გვარით მანტოვანის ოპერა ანა ახმატოვაზე. ძალიან თანამედროვე მუსიკაა, მოდერნისტული, აბსოლუტურად ატონალური მუსიკით, განსხვავებული იყო და ამდენად საინტერესო. ანუ ექსპერიმენტი იყო ესეც ჩემთვის. მაინც უფრო მე-19 და მეოცე საუკუნის დასაწყისის კლასიკური ნაწარმოებები იდგმება, ასევე გერმანული ოპერები, მაგალითად, ალბან ბერგის „ვოცეკი“. პირველი მსოფლიო ომის ამსახველი მძიმე, რეალისტური სიუჟეტია, ჭუჭყით და მკვლელობებით, მაგრამ ამ სპექტაკლის რეჟისურა ისეთი საინტერესო იყო, რომ ძალიან ბევრი მაყურებელი მოიზიდა. შემიძლია ვთქვა, რომ პარიზის თეატრი ცდილობს, მისი რეპერტუარით ყველანაირი ჟანრის ოპერა წარმოუდგინოს მაყურებელს.

**- მაყურებელი უფრო რომელი ჟანრის ოპერას ეტანება - კლასიკურს თუ თანამედროვეს?**

- გააჩნია დადგმას, რეჟისორს, კლასიკური ოპერა ავანგარდისტი რეჟისორის დადგმაში შეიძლება ძალიან თანამედროვედ გაჟღერდეს. მაგალითად, უდიდესი სიამოვნება მივიღე სპექტაკლიდან ოზინფატუტე (მოცარტი), რეჟისორმა, ბალეტმაისტერმა სოლისტებთან და გუნდთან ერთად ისე დადგა, თითქოს მთლიანი ოპერა იყო ცეკვა, სოლისტები - მოცეკვავეები. ყველა ცეკვავდა თუ არა, სულ მოძრაობაში იყო. ძალიან მოეწონა მაყურებელს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

**- როგორ დამკვიდრდი ამ თეატრში?**

- გამოცხადებული იყო სამტურიანი კონკურსი მეორე ალტის მისაღებად, ეს ყველაზე დაბალი ხმაა ქალთა რეგისტრში. შემიძლია ცოტა ვიტრაბახო, სამ ადგილზე იყო 75 პრეტენდენტი და მარტო მე ამიყვანეს.

**- ანუ ორი ადგილი დარჩა თავისუფალი, რადგან ვერ იპოვეს შესაბამისი ხარისხის მომღერალი?**

- დიახ, მეორე წელს მიიღეს აქედან ერთი და ორი წლის შემდეგ მესმე ადგილი შეივსო. მიღების კრიტერიუმებია ძალიან მკაცრი, რადგან პარიზის ოპერის გუნდი ითვლება სოლისტების გუნდად. ასე ეძახის ყველა. წელიწადში ერთხელ გუნდის მომღერლებისთვის ბასტილიის თეატრში ეწყობა სპეციალური მოსმენა და ძალიან ხშირად სხვადასხვა როლზე აჰყავთ ხოლმე გუნდის მომღერლები. მე პირადად ათამდე როლი მიმღერია ბასტილიის თეატრში, მაგალითად, პუჩინის „და ანჟელიკაში“, სადაც თამარ ივერი მღეროდა მთავარ პარტიას და მთავარი მონაზვნის როლს მე ვასრულებდი. ამაზე სატელევიზიო სიუჟეტიც გააკეთეს - ორი ქართველი - ერთ დადგმაში. მერე იყო როლი „თავადი იგორიში“ და სხვა. მოკლედ, გუნდის წევრებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას აძლევენ. ესეც ერთ-ერთი გამოცდაა, საკმაოდ მაღლაა აწეული ამ გუნდის თამასა. ამას ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, როცა თავად აღმოვჩნდი შესარჩევი ტურების ჟიურიში. ზედმიწევნით ობიექტურად მიდის მომღერლების შერჩევა. გუნდის წევრი ვარ, მაგრამ მაქვს დამოუკიდებელი კონცერტები. თეატრში საკმაოდ დაკავებული ვარ. ყოველი სეზონი დატვირთულია, ბევრი რეპეტიციაა. მთელი სეზონი წინასწარ გაწერილი გვაქვს დღეების მიხედვით. მარტო წარმოდგენა მაქვს ასი, რეპეტიციები ორკესტრთან ცალკეა და სცენური ცალკე.

**- თავიდან დრამატული სოპრანო იყავი...**

- ბათუმის პერიოდში კი, მერე შევიცვალე რეგისტრი და მეცო სოპრანო გავხდი, დაბალ რეგისტრზე გადავედი. ხმაც შეიცვალა და როგორც ჩანს, ეს პოტენციალი მქონდა. მეცო სოპრანო დრამატულ სოპრანოზე იშვიათია და მისთვის უფრო იოლია გზის გაკვლევა ევროპაში. ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი თავს მეცოს რეპერტუარში. სანამ გუნდში შევიდოდი, მიწვევდნენ სხვადასხვა თეატრში, მაგრამ ბოლოს სტაბილურობა და წყნარი ცხოვრება ვარჩიე.

**- რა მოგცა ბათუმმა როგორც მომღერალს და როგორ გახსენდება ხოლმე იგი უცხოეთში?**

- ბათუმური პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან როგორც მომღერალმა, ფეხი ბათუმის სცენაზე ავიდგი. აქ ვიმღერე ჩემი პირველი პარტია, ეთერის პარტია „აბესალომ და ეთერიში“. ეთერის პარტიაზე მინდა მოგიყვე. კონსერვატორიაში რომ ვაბარებდი, ნოდარ ანდღულაძე იყო კომისიაში. ერთ-ერთი კითხვა, რომელიც დამისვა, იყო - რომელი პარტია გინდათ იმღეროთ პირველადო, ახალგაზრდა ვიყავი და სირთულე არც კი გამიაზრებია, ისე ვუთხარი ეთერი-მეთქი. წარბი აწია ბატონმა ნოდარმა, აჰაა, მაშინ გისურვებთ, რომ თქვენი პირველი პარტია ეთერი იყოსო და აი, თითქოს დამებედა. ეს ურთულესი პარტიაა და მართალია, თავი გავართვი, მაგრამ ამ გადმოსახედიდან მაინც ნაადრევი იყო მაშინ ჩემთვის მისი შესრულება. ეთერის პარტიაც ძალიან მიყვარდა, სცენაზე ამ პარტიაში ძალიან ლაღად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ლელა „ლელადან“ თავისი პატრიოტული სულისკვეთებით უფრო მაღელვებდა და უფრო ჩემი იყო. რა მიყვარდა ბათუმში, იცი? - ის სითბო, რომელიც ყოველთვის მოდიოდა, ქუჩაში რომ მცნობდნენ და მესალმებოდნენ, სიყვარულს ვგრძნობდი ბათუმელებისგან. შუა არიაში მაღალ ბგერას რომ აიღებდი და დარბაზში ტაში იფეთქებდა, ასე მხოლოდ ბათუმში ხდება, სხვაგან არსად. ევროპაში უფრო გაწონასწორებული მსმენელია. ბათუმელი მსმენელის სპონტანურობა, ემოცია, გამოხატვის უნარი სხვა ფენომენია, ძალიან მოსანატრებელი.

**მარინა მითაიშვილი**

# ორი საუკუნის პანორამად

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ჩვენი სტუმარია ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი, წლევანდელი საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ მონაწილე, პარლამენტარი* ***როსტომ ჩხეიძე***

**- ბატონო როსტომ, გამომცემლობა „არტანუჯმა“ თქვენი ავტორობით გამოსცა 1000-გვერდიანი, დიდი ფორმატის წიგნი „კალამი გოლგოთაზე“. თქვენს შემოქმედებაში დოკუმენტურ რომანს საპატიო ადგილი უჭირავს. მოკლედ გვესაუბრეთ ამ და სხვა რომანებზე...**

- დოკუმენტური პროზის ესნაირსახეობა - ბიოგრაფიული რომანი - ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, უსაყვარლესი ჟანრია ბავშვობიდანვე, იმ დროიდან, როდესაც ფიზიკოსობა მქონდა განზრახული და ოცნებითაც არასოდეს მიოცნებია ამ ჟანრის რომანის შექმნა. შემდეგ ლინგვისტიკას და ლექსიკოგრაფობას უნდა გავეტაცე - ეს უკვე სტუდენტობისას - და მეოთხე კურსიდან ესეისტიკისა და თარგმანისაკენ რომ უნდა გადახრილიყო ჩემი ინტერესი, ამასობაში სამეცნიერო ძიებებს ფოლკლორისტიკისა და ბიბლიოლოგიის სფეროში უნდა შემომატებოდა სალიტერატურო კრიტიკაც, თანდათანობით პავლე ინგოროყვაზე რომ უნდა დამგროვებოდა ნარკვევებისა და სტატიების მთელი ციკლი... მამა მირჩევდა, იქნებ გაგემთლიანებინა ეს სერია, შეგევსო, შინაგანი ხაზი გაგეძლიერებინა და მონოგრაფიად გექციაო!.. და ეს რჩევა გამომადგებოდა ერთგვარ ბიძგად, რათა ჩემი ფიქრი ბიოგრაფიული რომანისაკენ გადართულიყო. იმ ციკლს სულაც გვერდით გადავდებდი და... ასე შეიქმნებოდა „ბედი პავლე ინგოროყვასი“, რომელიც შთამაგონებდა, რომ შევყოლოდი XIX და XX საუკუნეებს და ცალკეულ პიროვნებათა ცხოვრება და ღვაწლი სწორედ ამ მხატვრულ ფორმაში მომექცია. პავლე ინგოროყვას ცხოვრების ქრონიკას რამდენიმე წელიწადში უნდა მოჰყოლოდა ალექსანდრე ორბელიანზე რომანი, მერე კვლავ რამდენიმე წელიწადში - ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების ქრონიკაც... ამის შემდეგ აებმებოდა და... ერთ წელში ორი რომანიც დამიწერია. ასე მოიყრიდა თავს 30 ბიოგრაფიული რომანი, რაც კვლავაც უნდა შეივსოს და ეს ორი საუკუნე უნაპრალოდ და უხარვეზოდ წარმოდგეს ერთიან პანორამად. მიხეილ ჯავახიშვილზე მამას სურდა ბიოგრაფიული რომანის დაწერა, ვასილ ბარნოვსა და ლორდ ბაირონზე უკვე შეექმნა ამ ჟანრის ნიმუშები, მაგრამ ყველაფერს ველარ გაწვდებოდა და მისი 24-ტომიანი ციკლი „მატიანე ქართლისაი“ მიხეილ ჯავახიშვილის სახების გარეშე დარჩებოდა, თუმც ისეთ ესეის შექმნიდა „ჯაყოს ხიზნებზე“, გზამკვლევად გამომადგებოდა და იდუმალ წარმმართველად, „კალამი გოლგოთაზე“ მეც ოცნებად რომ არ დამრჩენოდა, სხვათა შორის: მიხეილ ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა რომანის შექმნა ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, სახელწოდებით „შავი ჩოხა“, ამ სათაურსაც და ამ სწრაფვასაც მე რომ გავიზიარებდი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიული ქრონიკის წერისას ძალიან წამადგებოდა ჩემი უსაყვარლესი მწერლის ეს თუნდაც აღუსრულებელი ჩანაფიქრი, ისევე როგორც რომანში „არსენა მარაბდელი“ მთავარი გმირის პორტრეტსა და თავგადასავალს იდუმალად ჩაწნულა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახება.



**- ეს წიგნი მამათქვენს, ოთარ ჩხეიძეს მიუძღვენით. კარგი შვილი ღირსეულ მამას ყოველთვის პატივს მიაგებს. ის, რაც მამის შესახებ დღემდე არ გითქვამთ...**

- მამაჩემის ესეიც და მისი ზეპირი ნაამბობებიც მიხეილ ჯავახიშვილზე რომ შემაძლებინებდა ამ ვეება რომანის შექმნას, მხოლოდ ამიტომ არ ეძღვნება „კალამი გოლგოთაზე“ ოთარ ჩხეიძეს. უფრო იმიტომ, რომ: იგი გახლდათ მიხეილ ჯავახიშვილის სულიერი მემკვიდრე, მისი გზის უშუალო გამგრძელებელი ბიოგრაფიულადაც და სატირიკოსობითაც, მასავით თავზეხელაღებული რომ შეეხლებოდა კომუნისტურ იდეოლოგიასა და რეჟიმს და არც რეპრესიები მოაკლდებოდა. თქმით კი... მამაზე არსებითად ყველაფერი მაქვს ნათქვამი - არაერთხელ გამიხსენებია მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის თხზულებებშიც, ესეებშიც და სხვა მისი თანამოკალმეებისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანებშიც - პავლე ინგოროყვა იქნებოდა, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი შატბერაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, ზვიად გამსახურდია...შიო არაგვისპირელზე ბიოგრაფიული რომანის შექმნისასაც ძალიან უნდა წამდგომოდა ოთარ ჩხეიძის ესეიც ამ მწერალზე და მისი სხვა ნარკვევებიც ქართულ ნოველაზე... და პირადადაც უნდა მიმეძღვნა მისთვის ბიოგრაფიული რომანი „აგვისტოს შვილები“.

**- 30 ბიოგრაფიული რომანიდან რომელს გამოარჩევდით?**

- მწერლები თავიანთ წიგნებს შვილებს ადარებენ ხოლმე: როგორც იმათი გამორჩევა არ შეიძლება, ისე ამათიო. ამ მხრივ, არც მე ვიქნები ორიგინალური. თუმც უილიამ ფოლკნერი ამ თვალსაზრისით გამოარჩევდა თავისი რომანებიდან „ხმაურსა და მძვინვარებას“: დედას როგორც უყვარს გამორჩეულად ავადმყოფი შვილი, ყველაზე მეტად რომელსაც უწვალებიაო. და ამ კუთხით თუ გადავავლებ თვალს ჩემი ბიოგრაფიული რომანების სერიას, თავისთავად ამოტივტივდება ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკა: „დევების სტუმარი“ - ისე რომ გამტანჯავდა, თითქოს დევების ქორწილში მეც მოვხვედრილიყავი და მთელი ის საზარლობა და კოშმარები ჩემს თავზე გადამეტანა.

**- რაა მთავარი, იყო კარგი მწერალი, თუ - ოპოზიციონერი პოლიტიკოსი?**

- ოპოზიციონერი პოლიტიკოსობა ძალდაუტანებელი გაგრძელებაა ჩემი ლიტერატურული საქმიანობისა, მწერალი ხომ ისედაც ოპოზიციონერია - ეს არის მისი უშუალო მოვალეობა, და მეც ამ მოვალეობისაგან არც არასოდეს გადამიხვევია. ასე რომ, აქ მთავარსა და არამთავარზე არ უნდა იყოს ლაპარაკი. ორივე აუცილებელია, მით უმეტეს, ისეთ მწვავე, გაუსაძლის რეალობაში, როგორშიც ვიმყოფებით და მისგან თავდაღწევის გზებს ვეძიებთ როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური სიტყვით.

**- ბოლო დროს შემოქმედებით მოღვაწეობას უთმობთ მეტ დროს თუ პოლიტიკურ სარბიელზე ყოფნას?**

- გასაგებია - ჩემს პარლამენტარობას გულისხმობთ. ვცდილობ, ერთმანეთს შევუხამო ეს ორივე სარბიელი, არც ერთს მოვაკლო რაიმე და არც მეორეს, ბოლოს და ბოლოს ხალხში სიარული და მისი ჭირ-ვარამის უშუალო მოსმენა სოფლად თუ ქალაქად, მთასა თუ ბარში, მწერალსაც ისევე ევალება, როგორც პოლიტიკოსს. პუბლიცისტური სტატიები ყოველთვის დამიწერია, ეგ არის, ახლა ახალი ნაკადი უნდა შემოჭრილიყო ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში: საპარლამენტო გამოსვლები, რომელსაც თავისი აღნაგობით ელგუჯა თავბერიძე სულაც სიახლედ მიიჩნევდა ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში.

**- თქვენი დაბადებიდან 60 წლის იუბილე - სხვების მსგავსად - პომპეზურად რატომ არ აღნიშნეთ?**

- არათუ პომპეზურ აღნიშვნას გავერიდებოდი, მკრთალად, გაკვრითაც არსად გახმიანდებოდა და ეს გახლდათ ჩემი მტკიცე მოთხოვნა. ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ როდის წუხდა და მკაცრადაც განსჯიდა: იუბილეი გახშირდა, როგორც მაისში რწყილებიო!... და არავითარი სურვილი არცა მაქვს და არც მექნება, რწყილთა კაკაფონიას შევემატო. იუბილის აღნიშვნა განსაკუთრებული მოვლენა უნდა იყოს ერის ცხოვრებაში და არა ამა თუ იმ - თუნდ დამსახურებული - პიროვნებისა, მეტად იშვიათად უნდა ხდებოდეს და მთელი ქვეყანა მონაწილეობდეს სულითა და გულით: რაფიელ ერისთავის იუბილე როგორც აღინიშნებოდა, როგორც აღინიშნებოდა აკაკი წერეთლის იუბილე. საამისოდ თავი არ მეღირსება, და ჩემისთანებმა უნდა იკმარონ ისეთ დიდებულ ზეიმში მონაწილეობა - ღირსეული ადგილის მიჩენა მართლაც რჩეულ კაცთათვის.

**- ჩხეიძეების ადგილის დედა გურიაა. თქვენი სამკვიდრო კი გორი და ქართლია. საიდან სად?**

- გურია რატომ - აფხაზეთი და სამეგრელო, ჩხეტია ჩვენი განაყარი გვარია, ჩხეიძეები კი უფრო იმერეთში სახლობენ, აქ მოიკიდებდნენ ყველაზე მეტად ფეხს - აბა რაჭის ერისთავობიდან ორი თაობის მერე ტრაგიკულად უნდა გამოვეძევებინეთ... დევნა-დევნაში ქართლში უნდა გადმოსულიყო ერთი შტო ჩემი გვარისა და იტრიაში დამკვიდრებულიყო - მეთაური ჩხეიძეთა ქართლის სახლისა ის ბეჟანია, რომელიც გახლდათ გიორგი სააკაძის შვილიშვილი და ვაჟი იმ გორგასალისა, რომელიც შვილის მაგივრად გაწირავდა თავს - ბეჟანს გამოაშვებინებდა ალეპოს ჯურღმულებიდან და ოცდამეათე კაცად თვითონ მიეთვლებოდა სიკვდილით დასასჯელად გაყვანილ დიდ მოურავსა და მის რაზმელებს. ამის თაობაზე მთელი წიგნი მაქვს დაწერილი: „ჩემი საგვარეულო შტო“ - რომელიც უმთავრესად დაეყრდნობოდა თამაზ ლაცაბიძის მეცნიერულ ძიებებსა და მონაპოვარს, და ცხადია, სხვა არაერთ დოკუმენტურ წყაროსაც თუ საგვარეულო გამოცემასაც.

**- დღემდე რა ურთიერთობები გაკავშირებდათ აჭარის მთიანეთთან?**

- ერთადერთხელ ვარ ამ მხარეში ნამყოფი და გამუდმებით მქონდა სურვილი, კიდევ ვწვეოდი აქაურობას. ასე რომ, ამჯერად ცოტა სული მოვითქვი, თორემ მთიანი აჭარის დალაშქვრა, მე როგორც მჩვევია, ჯერაც წინ მაქვს.

**- როგორ შემოვიდა თქვენთან ურთიერთობაში საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“?**

- „ზე კართან“ მართლაც დიდებული საქმეა, ჯერ მისი წამოწყება და მერე შენარჩუნება და გაღრმავება-გამრავალფეროვნება, თორემ გვახსოვს სხვა ჩინებული წამოწყებანიც, მალევე რომ ჩაფერფლილან. ამჯერად ისეთი კაცი უნდა ჩადგომოდა სათავეში, ვახტანგ ბერიძე, რომელიც ენერგიასა და მონდომებას არ დაიშურებდა და თავსაც გადადებდა ამ ფესტივალის შესანარჩუნებლადაც და სულაც საერთაშორისოდ გადაქცევისათვისაც. იმთავითვე მომიწვევდა ამ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ხან რა მაბრკოლებდა და ხანაც რა, და აქამდე ვერ მომიხერხდებოდა მასში ჩართვა. ბოლოს და ბოლოს, ყველა საქმეს გადავდებდი, რათა მეც შევმატებოდი ამ ნამდვილ ლიტერატურულ დღესასწაულს და მთიან აჭარაშიც პირადად შევხვედროდი ჭეშმარიტ მკითხველებს. იქ გვანცა ჯობავა შესძენდა კიდევ ერთ ნაკადს ამ ფესტივალს - პოეტი, მთარგმნელი და ორგანიზატორი: ყველა სარბიელზე ერთნაირად წარმატებული. იქ თამაზ მახარაძე - ჭეშმარიტი ქართველი კაცის განსახიერება - ამოუდგებოდა გვერდით, მისი სასტუმრო „ჩაო“ ლიტერატურულ კერადაც რომ გადაიქცეოდა და გულითა და სულით ჩაერთობოდა ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-კულტურულ პროცესში, წიგნებიც თვითონვე რომ მიაკითხავდნენ მკითხველებს.

**- ასაკობრივი ზღვარი, პოლიტიკური სარბიელი, შემოქმედებითი საქმიანობა, თანამედროვე გამოწვევებთან ჭიდილი ერთი გქონდათ თქვენ და ტარიელ ფუტკარაძეს. ამჯერად მის მშობლიურ კუთხეში ხართ. რას იტყვით მის საქმიანობაზე?**

- დასანანია, ძალიან დასანანი ასეთი კოლორიტული და ღირსეული კაცის დაკარგვა, ტარიელ ფუტკარაძე რომ გახლდათ, უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმეთა აღმსრულებელი, და არამარტო საქართველოს მასშტაბით, ჩვენს თვისტომთ ყველგან რომ დაეძებდა, განსაკუთრებით მაინც - თურქეთსა და ირანში, არამცთუ ძაფებს აბამდა მათთან, სულაც ხიდებს. და საერთოდ, სანიმუშო იყო მისი მოღვაწეობა როგორც მკვლევარის, ლექტორისა თუ სამეცნიერო ხელმძღვანელის, ამ მხრივაც განსაკუთრებულ გულისყურს რომ იჩენდა ახალგაზრდა მეცნიერთა აღსაზრდელად, და ამიტომაც ჰყავდა ამდენი მოწაფეც და მერე უკვე უმცროსი კოლეგაც. და რომ არა პანდემია, კიდევ რაოდენ სასიკეთო საქმეს აღასრულებდა... თუმც რაც დაგვიტოვა მეცნიერულ და ლიტერატურულ მემკვიდრეობად, ძალზე ძვირფასია, და მისი წამოწყებული საქმეებიც საიმედო ხელთაა გასაგრძელებლად.

**- სხალთაში, ხულოს, შუახევის, ქედის ცენტრებში წამომართული ტაძრები რაზე მიგანიშნებთ?**

- ყველა ეს ტაძარი თვალსაჩინოებაა ამ მხარის სულიერების უწყვეტობისა, ქრისტიანული სამყაროს გულისგულში ყოფნისა, ამ რწმენის გადარჩენის სიმბოლო და ხელშესახები დასტური. ამასთან ჩვენი ხუროთმოძღვრული ხელოვნების უკეთესი ნიმუშები, რომელთა მონახულებაც არასოდეს მოგწყინდება.

**- მამათქვენისა და ფრიდონ ხალვაშის ურთიერთობებიდან რა გახსენდებათ?**

- ფრიდონ ხალვაში თავისი ადამიანური ღირსებებით, ყველასათვის საყვარელი პიროვნება გახლდათ და თბილისელ მწერლებსაც თუ მოუხაროდათ ბათუმისაკენ, იმიტომაც, იქ ბატონი ფრიდონიც რომ ეგულებოდათ, ჩვენთვის - ძია ფრიდონი, რომელიც თავის მხრივ ხშირად სწვევია ოთარ ჩხეიძეს თბილისშიც, გორშიც, ყელქცეულშიც, ბავშვებთანაც რომ უხაროდა ყოფნა და ნატოსაც და მეც გვიყვარდა მისი მოსმენა. მამების მეგობრობა შვილებზეც გადმოვიდოდა და ზაზა ხალვაში და მე შევინარჩუნებდით ამ ტრადიციას, რაც კვლავაც უნდა გაგრძელდეს და ჩვენმა შვილებმაც შინაურულად უნდა იგრძნონ თავი ერთმანეთთან. სხვათა შორის: ბათუმში ფრიდონ ხალვაშის ხსოვნის საღამო, უმთავრესად აგებული მის ავტობიოგრაფიულ რომანსა და სხვადასხვა დროის ჩანაწერებზე, ჩემი თაოსნობით გაიმართებოდა, ელგუჯა თავბერიძეც რომ ამომიდგებოდა გვერდით. სამწუხაროდ, ზაზაც უკვე ხსოვნაშია გადასული და პირადადაც მაკისრია მოვალეობა, ღირსეულად ყოფილიყოს დაფასებული მისი კინემატოგრაფიული და მწერლური ღვაწლი, რადგანაც ის ორი წიგნი - „სცენარები“ და „მუჭში დამალული კენჭები“ - „ინტელექტი“ რომ გამოსცემდა, ჩვენი ლიტერატურული მდინარების სრულფასოვანი ნაწილია.

**- „მე, მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ“ ათქმევინეთ მიხეილ ჯავახიშვილს. როგორ ცხოვრობს თანამედროვე ქართველი მწერალი?**

- ეს ფრაზა თვითონ მიხეილ ჯავახიშვილისაა, და ცხადია, ჩემს ბიოგრაფიულ რომანშიც უნდა გადმოსულიყო არა მარტო სიტყვებად, არამედ თვალნათლივ წარმოსახულიყო ის მტანჯველი გარემო, სადაც უხდებოდა მოღვაწეობა მწერალს და ეს მწარე ფრაზაც დასცდებოდა. თანამედროვე ქართველი მწერლის განწყობაც სწორედ იმგვარია, როგორიც ამ ჩვენი დიდებული წინამორბედისა, რადგანაც ქვეყანა არ მიემართება ბუნებრივი გზით და სახელმწიფო პირობითად უფრო გვქვია, ვიდრე რეალურად.

**- ძალიან კარგი გადაცემა მიგყავდათ ტელევიზიით. რატომ გაქრა ის ეკრანიდან?**

- 90-იან წლებში პირველი არხის „ალიონის“ პროგრამით ერთადერთი ვუძღვებოდი ლიტერატურულ მიმოხილვას ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მოგვიანებით საპატრიარქოს არხის დილის გადაცემაში თითქმის ათ წელიწადს ვაგრძელებდი იმავე საქმეს. ამასობაში აღდგებოდა ტელეკომპანია „იბერია“ და აქ უკვე ლიტერატურული გადაცემის გარდა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემასაც „დე-ფაქტო“ ვუძღვებოდი, ამ ტელეკომპანიის დახურვა ორივე გადაცემას რომ შეწყვეტდა. ამასობაში ეს მხარე ჩემი საქმიანობისა უკვე ამოვწურე და ახლა ახალგაზრდებმა უნდა მიხედონ და კარგადაც უძღვებიან ლიტერატურულ გადაცემებსა და მიმოხილვებს სხვადასხვა არხზე.

**- როგორ რეაგირებთ სასაუბრო, თუნდაც სალიტერატურო ენაში უცხოური სიტყვების დამკვიდრებაზე?**

- მესმის, რომ ეს რიტორიკული შეკითხვაა, მაგრამ მაინც გინდათ საჯაროდ მათქმევინოთ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი, მართლაც უგვანობისადმი, რადგან ბარბარიზმებიც ძალიან ანაგვიანებს ენას, ამჭლევებს და აუფასურებს. ეს მოვლენა არ უნდა აგვერიოს საერთაშორისო სიტყვებისა თუ სამეცნიერო-ლიტერატურული ტერმინების გამოყენებაში, რაც აუცილებელია და ენის გამდიდრებას უწყობს ხელს. თუმც ზომიერების დაცვა აქაც მოგვეთხოვება და ზედმეტად არ უნდა გადაიტვირთოს ჩვენი ზეპირმეტყველება თუ ნაწერი საერთაშორისო სიტყვებითა თუ ტერმინებით. ამ მხრივ, ისეთივე შეურიგებელი ვარ, როგორც: ილია ჭავჭავაძე, დავით კლდიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჩხეიძე... ქართულ ენას ყველა მწერალი თავგადაკლული იცავდა, მაგრამ ესენი ყოველ წუთას ენის გადარჩენის აუცილებლობას იმეორებდნენ, შეიძლება ითქვას - სიზმარშიც ამას დუდუნებდნენ.

**- ქვეყნის ჭირ-ვარამზე მზრუნველი და მოდარდე გვარის ღირსეულ შთამომავალს საქართველოს მომავალი როგორ გესახებათ?**

იხ. მე-7 გვ.

> *„ არათუ პომპეზურ აღნიშვნას გავერიდებოდი, მკრთალად, გაკვრითაც არსად გახმიანდებოდა და ეს გახლდათ ჩემი მტკიცე მოთხოვნა. ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ როდის წუხდა და მკაცრადაც განსჯიდა: იუბილეი გახშირდა, როგორც მაისში რწყილებიო!... და არავითარი სურვილი არცა მაქვს და არც მექნება, რწყილთა კაკაფონიას შევემატო*

# სოფელ სინდიეთის მარანი

*ოქტომბერში მაჭახლის ხეობის სოფელ სინდიეთში არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა. აქ აღმოჩენილ უძველეს ნაშთებზე გვესაუბრნენ სსიპ „აჭარის მუზეუმის“ სამეცნიერო და საგამომცემლო სამსახურის კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თამარ შალიკაძე და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციის სამსახურის უფროსი, არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი იზოლდა დუმბაძე*

- სოფელი სინდიეთი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახლის თემში, მდინარე მაჭახლისწყლის ხეობაში. 2021 წელს აქაური სულიკო ძნელაძის მიერ მივიღეთ ინფორმაცია სოფელში შემთხვევით მიკვლეული ქვევრების შესახებ, - გვითხრეს მათ, - წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ბორცვოვან-ტერასული ტიპის მარანი, რომლის გამაგრებისთვის გამოყენებულია ქვის ყორის წყობა და მკვრივი ქანი, მის ცენტრალურ ტერიტორიაზე კი გაიწმინდა სამ რიგად ჩალაგებული თორმეტი ქვევრი. სსიპ „აჭარის მუზეუმის“ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ექსპედიციის წევრები: თამარ შალიკაძე, ემზარ კახიძე, იზოლდა დუმბაძე, არჩილ მალაყმაძე, ნუგზარ აფაქიძე) კვლევითი სამუშაოები სოფელ სინდიეთში ამა წლის ოტომბერში კვლავ გაგრძელდა აჭარის კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს დაფინანსებით. ძირითადი სამუშაოები წარმოებდა მარნის სამხრეთის მიმართულებით გამოვლენილი ქვის ყორისა და მოზრდილი წყობის დაზუსტების მიზნით. მალე გაიწმინდა საშუალო ქვებისაგან ნაშენი ოთხკუთხა ფორმის ავზი, რომელიც დაწურული წვენის მოსაკავებლად ყოფილა გამართული, ეგრეთ წოდებული თაღარი. თავის დროზე იგი კირქვით ყოფილა შელესილი. აქვე ყურადღება მიიქცია ჩრდილოეთით მიმართულმა ქვის წყობებმა, რომლებიც გაუთხრელ ფართობში ექცეოდა. აუცილებელი გახდა მათი გაწმენდა. რამდენიმედღიანი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა 3 მეტრი სიგრძისა და 1 მეტრი სიგანის ქვითკირით ნაშენი 95 სანტიმეტრი სიღრმის საწნახელი, რომელსაც სამხრეთით, ძირისკენ დატანილი აქვს 0,5 მეტრი დიამეტრის ღარი, საიდანც დაწურული წვენი თაღარში მიედინებოდა. საწნახელი კირქვითაა გამაგრებული და შელესილი. აღსანიშნავია, რომ კარგად დაცული საწნახლის ჩრდილოეთი კედელი აღმოსავლეთით მიემართება, როგორც ჩანს, იგი თვით სათავსოზეა მიდგმული. ჯერჯერობით მხოლოდ მისი ნაწილის გაწმენდა მოვასწარით. საწნახლისა და თაღარის ტერიტორიაზე მრავლად გამოვლინდა დოქისა და ჯამების ფრაგმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ საწნახელი ყურძნის დაწურვასთან და ღვინის დაყენებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პირველ ინვენტარს წარმოადგენს. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ყურძნის დაწურვის მრავალი პრიმიტიული ხერხია დამოწმებული - ტყავზე დაწურვა, გოდორში, პურის საზელში, ვარცლზე, ტომრებში და სხვ. რაც შეეხება საწნახელს, იგი სამი სახისაა: ხის, კლდეში ნაკვეთი და ქვითკირით ნაგები. პირველი ორი სახეობა გაცილებით არქაულია. აჭარაში ხის საწნახლები ჩვენამდე არაა მოღწეული, ხოლო რაც შეეხება



კლდეში ნაკვეთ საწნახლებს, მრავლადაა რეგიონის ტერიტორიაზე. ისინი ფიქსირებულია სოფელ ზენითში, ზუნდაგაში, ორცვაში, კორომხეთში, აქუცაში, მერისში და ა. შ. მათგან უძველესია ზენითის საწნახელი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებით თარიღდება. შედარებით ახალია ქვითკირით ნაგები საწნახელი. საქართველოში ქვითკირით ნაგები საწნახლები X-XI საუკუნიდან ჩნდება, რაც მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განსაკუთრებულ დაწინაურებაზე მეტყველებს. აჭარაში ისინი მრავლადაა დაფიქსირებული მაჭახლის ხეობაში, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების სოფლებში. მივიჩნევთ, რომ სოფელ სინდიეთში ახლად გამოვლენილი მარანი და ქვითკირის საწნახელი გვიანი შუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს, თუმცა, ვიდრე არ დასრულდება კომპლექსის ბოლომდე შესწავლა, თარიღზე საუბარი ნაადრევად გვეჩვენება. წინ საინტერესო სიახლეები გველის.

# ანსამბლ „ბერმუხას“ ტრადიციული სასცენო სამოსი გადაეცა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ხულოს კულტურის ცენტრთან არსებულ უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერმუხას“ საჩუქრად 17 კომპლექტი ჩაქურა და ერთი აჭარული სასცენო კაბა გადასცა. ამ ფაქტს საზეიმო შეკრება მიეძღვნა, რომელსაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს, ხულოს თვითმმართველობის წარმომადგენლები, „ბერმუხას“ წევრები ესწრებოდნენ. შეკრება ხულოს თეატრში გაიმართა.

უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერმუხა“ ენვერ ხალვაშის ინიციატივით 1981 წელს დაარსდა. სახელი „ბერმუხაც“ მანვე უწოდა. ახლა ანსამბლი 18 წევრისგან შედგება და მათგან ყველაზე უფროსი მუხამედ ირემაძე 99 წლისაა. ანსამბლ „ბერმუხას“ ძირითადი მიზანია ტრადიციული აჭარული ცეკვების მომავალი თაობებისთვის გადაცემა. აღსანიშნავია, რომ რეპერტუარი მოიცავს აჭარულ ცეკვებს, რომლებიც სრულდება ტრადიციულად, დოლ-გარმონის, ჭიბონისა და ფანდურის თანხლებით.

ანსამბლის წევრები თვითნასწავლი მოცეკვავეები არიან და მათ მიერ შესრულებული საცეკვაო ილეთები ხულოს სხვადასხვა სოფლისთვის დამახასიათებელი კულტურისა და ტრადიციის სინთეზია.

არსებობის განმავლობაში ანსამბლი მონაწილეობდა არაერთ ფოლკლორულ და სხვა ფესტივალში, მრავალი გასტროლი ჰქონდა საზღვარგარეთაც - პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, მოლდოვაში, რუსეთსა და თურქეთში.



# დიოკნისის საჯარო სკოლა 100 წლისაა

თხილვანის, ფაჩხის და ხულოს მაშინდელი მაზრის ზოგიერთი სოფლის მსგავსად, წინა საუკუნის დასაწყისში ბეღლეთ-დანისპარაულის ხეობის დიოკნისის დასახლებაში ქართული სკოლა აღდგა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენიდან საუკუნე გავიდა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დიოკნისის საჯარო სკოლაში საზეიმო ღონისძიება გაიმართა. პედაგოგებს, მოსწავლეებს, საზოგადოების წარმომადგენლებს სკოლის ასწლოვანი იუბილე მიულოცეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ანზორ ბოლქვაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ყოფილმა მოსწავლეებმა, ხულოს რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ მიქელაძემ, მოქმედმა და ვეტერანმა პედაგოგებმა, სკოლის დირექტორმა. დიოკნისის სკოლა 1916 წელს ადგილობრივი მკვიდრის ოჯახში გაიხსნა, თუმცა 2 თვის შემდეგ დაიხურა. 1922 წელს სკოლა აღდგა ისმაილ ისუფის ძე ძირკვაძის ოჯახში. 1930 წელს აშენდა ხის სკოლა შვიდწლიანი სკოლის ბაზაზე, ხოლო კაპიტალური შენობა - 1983-1985 წლებში. 2018 წელს მოძველებული შენობა შეკეთდა. სკოლაში ამჟამად 45 მოსწავლე და 16 მასწავლებელია. შენობა გათვლილია 406 მოსწავლეზე.



# მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის მცხოვრებლებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლებმა პროგრამების, პროექტებისა და დაგეგ-



მილი სიახლეების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. მათ ასევე, ადგილზე მოისმინეს სოფლის საჭიროებები და შესაბამისი უწყებების ჩართულობით იმსჯელეს მოგვარების გზებზე.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება, რომელთა მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების ადგილზე გაცნობა და მათი მოგვარების გზებზე ერთობლივი მსჯელობა.

ქედის მუნიციპალიტეტის მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ბოლო დროს ტურიზმმა ფეხი მოიკიდა. მაგალითისთვის მახუნცეთის ჩანჩქერიც საკმარისია. ტურიზმი სათანადო ინფრასტრუქტურას, საოჯახო სასტუმროების ამოქმედებას, გზებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების კეთილმოწყობას, ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე დროულ გატანას, კვალიფიციური მუშახელის გადამზადებას საჭიროებს.

შეხვედრებზე იმასაც ხაზი გაესვა, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი ხელისუფლებისგან თანადგომას საჭიროებს. მათი პრობლემები მოისმინეს საქართველოს პარლამენტის წევრმა ანზორ ბოლქვაძემ, ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ნონა გალოგრემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ არჩილ ბერიძემ.

- ამგვარი და სხვა დანიშნულების შეხვედრები საფუძველს ქმნის, უკეთ ვიცნობდეთ სოფლებში არსებულ პრობლემებს, მეტი კომუნიკაცია გვქონდეს მოსახლეობასთან, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# ვახტანგ ბერიძე: რეჟისორობა ჩვეულებრივისაგან არაჩვეულებრივის, აღმატებულის, ხელოვნების შექმნაა

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**



*ბავშვობა სოფელში გაატარა, ბუნებისა და საყვარელი ადამიანების გარემოცვაში. როგორც იხსენებს, რთული წლები იყო, თუმცა ყველაფერს სიყვარული და ის ადამიანები აბალანსებდნენ, რომლებიც დღეს აღარ არიან. სურს ისეთ საზოგადოებაში იცხოვროს, სადაც უპირატესი იქნება „ჩვენ“ და არა „მე“, სადაც ადამიანებს შეეძლებათ ერთი მიზნისთვის - საქართველოს ძლიერი მომავლის შენებისთვის გაერთიანება. ჩვენს კითხვებს რეჟისორმა* ***ვახტანგ ბერიძემ*** *უპასუხა.*

**- მონატრება, რომელიც სულ გდევთ...**

- ყველაზე დიდი მონატრება მამაჩემია, რომელმაც საავადმყოფოში შეყვანისას ხელი ჩამკიდა და მითხრა, არ გამიშვაო. ის იყო ბოლო სიტყვა მამისგან, ის იყო პირველი და ბოლო სურვილი, სადაც ჩემთვის სამყაროს ტოლფას ადამიანს დავჭირდი და ვერ ვუშველე...

**- სოფლის სურნელი ჰგავს...**

- დედის სუნს, ჩემი ბავშვობის სუნს, რომელიც შეუერთდა მთებს, რომელიც გარს არტყია ჩემს სოფელს. სოფლის სურნელი ყველაზე თბილი, ტკბილი და არომატულია.

**- იყო რეჟისორი ნიშნავს...**

- ჩვენ ვიცით გამოთქმა „პური და სანახაობა“. ქრისტემ გვითხრა, პური ჩემი სხეულიაო. დღემდე უმნიშვნელოვანესი ფიქრის საგანს წარმოადგენს, რა იგულისხმება სანახაობაში, რა არის ჩვენი დროის თეატრის მისია, მთავარი სათქმელი, როგორ შეიძლება, გაუწიო კონკურენცია ყველაფერს, რაც თეატრს ებრძვის... რეჟისორობა ამ კითხვებზე პასუხია, მუსიკის, ლიტერატურის, მხატვრობის დადგმაა, მისგან, ჩვეულებრივისაგან არაჩვეულებრივის, აღმატებულის, ხელოვნების შექმნაა... ახალი სივრცისა და დროის აღმოჩენაა. რეჟისორობა ხელობაა, ხელოვნებაა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა, რწმენაა, პოზიციაა, ბრძოლაა გამარჯვებამდე.

**- რა არის თეატრში უმთავრესი?**

- უმთავრესი დიალოგია, რეჟისორი მსახიობის დახმარებით სვამს პრობლემურ და კრიტიკულ საკითხებს. მაყურებელი ბრუნდება სახლში, ფიქრობს ამაზე და ხვალ თავისი ქმედებით იწყებს დასმული საკითხების მოგვარებას. თუკი ეს დიალოგი არ შედგა რეჟისორს, მსახიობსა და მაყურებელს შორის, ესე იგი თეატრმა, როგორც ორგანიზაციამ ფუჭად გახარჯა თავისი რესურსები.

**- როგორ ფიქრობთ, ქართული თეატრიდან ისმის მთავარი სათქმელი?**

- თეატრის შექმნის თავდაპირველი იდეა იყო სიმართლის თქმა. ანტიკურობიდან დღემდე ბევრი რამ შეიცვალა თეატრში, ფორმა, იდეა, სათქმელი... წლების წინ მიხეილ თუმანიშვილმა თქვა, დღეს ჩვენი თეატრი ჰგავს დამტვრეულ მანქანას, რომლის ყველა ნაწილი უვარგისიაო. მე დავამატებდი, დღეს თეატრი ჰგავს მანქანას, რომელიც მეორადებში დაშალეს... თეატრმა დაკარგა სიმართლის, თავისუფლების, კრიტიკულობის იდეა. დღევანდელ თეატრში „ჩინოვნიკი“ უფრო მეტია, ვიდრე შემოქმედი. ქართულ თეატრს დრომ გაასწრო... მაშინ როცა სისხლიანი რეჟიმი კლავდა ყველაფერს, ვინც თავისუფლებაზე საუბრობდა, ახმეტელი დგამდა სპექტაკლებს, სადაც ეროვნული მუხტი და ხასიათი იყო წინა პლანზე. დღეს ეს დაკარგა თეატრმა, იუთუბზე ნანახის ასლები მომრავლდა თეატრების რეპერტუარში, რამაც ინტერესი დაუკარგა მაყურებელს.

**- ფესტივალი, რომელიც ათი წლის წინ დააარსეთ, შეიყვარა საზოგადოებამ...**

- საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ არის სივრცე და შესაძლებლობა აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მცხოვრებლებისა და ქართული კულტურის წარმომადგენლების შეხვედრის, აზრისა და საფიქრალის გაცვლის, სიყვარულისა და სიკეთის გაზიარებისა. ფესტივალი მნიშვნელოვნად ეხმარება აჭარაში საფესტივალო კულტურის განვითარებას, არაფორმალურ განათლებას, კულტურული ტურიზმის განვითარებას და, რაც ყველაზე მთავარია, ლიტერატორების და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისთვის, აჭარის ყოფაცხოვრების იმ ღირებულებებისა და ფასეულობების გაზიარებას, რაც ამ მხარეშია დაუნჯებული. ბედნიერი ვარ, რომ წლიდან წლამდე დიდი სიყვარულით ელოდებიან ადამიანები ფესტივალს. მცდელობას არ დავაკლებ, რომ „ზე-კართან“ უფრო და უფრო მასშტაბური და საინტერესო გახდეს, უფრო მეტ ადამიანს ჰქონდეს მასში ჩართვის შესაძლებლობა.

**- ბათუმური ემოცია..**

- 2002 წლიდან ვცხოვრობ ამ ქალაქში, ბევრჯერ მატკინეს აქ, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად მიყვარს როგორც ცოცხალი ორგანიზმი, თავისი ხალხით, მრავალფეროვნებით, სევდითა და ხელოვნების მიმართ პატივისცემით...

**- რისი გჯერათ ყველაზე მეტად?**

- ჩვენ, ერმა ბევრი რამ უნდა გადავაფასოთ. არ მოგვწონს საბჭოთა კავშირი, მაგრამ დღემდე ბოდიში არ მოგვიხდია, ამ საშინელი რეჟიმის შემქმნელები ქართველები რომ იყვნენ. ამ რეჟიმმა რომ მსოფლიო კულტურულ სივრცეს მოუკლა ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა დიდი პიროვნებები, ამას არ ვიმჩნევთ. დღემდე არ გადაგვიფასებია სამოქალაქო ომი, რატომ გავწირეთ ასე ერთმანეთი? ჩვენი ქვეყანა უკიდურესად პოლარიზებულია - ზვიადის მომხრეები, შევარდნაძის მომხრეები, მიშას მომხრეები, ბიძინას მომხრეები და პირიქით. არ უყვართ, არ ესმით ერთმანეთის, მეტიც, არც უნდათ, რომ გაუგონ ერთმანეთს. ესეც იმის დამსახურებაა, რომ ვერ, არ ვაპატიეთ ერთმანეთს. პატიების, სიყვარულის, შენდობის, თანადგომის უნარი, წაგვართვა 70-წლიანმა სისტემამ. ოპტიმისტი ვარ და მჯერა უკეთესი საზოგადოების, ხელოვნების, სიყვარულის, პატრიოტიზმის, თითოეული გოჯი მიწის დაბრუნების, ორად გაყოფილი აზრისა და სიყვარულის გაერთიანების. რატომ? იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, საბოლოოდ გამოიწურება რუსეთის მიერ დანატოვარი შხამი ჩვენი ხალხის გულსა და გონებიდან და დავუბრუნდებით საკუთარ თავს, იმ ქართველებს, რომლებმაც შეძლეს და საქართველო მთელი თავისი კულტურული სიმდიდრით მოიტანეს აქამდე.

## ბათუმში მოგზაურობის 7 მიზეზი...

პოპულარული ბრიტანული სამოგზაურო ჟურნალი Wanderlust-ი ბათუმში მოგზაურობის შვიდ მიზეზს ასახელებს და მილიონობით მკითხველს ბათუმში მოგზაურობისკენ მოუწოდებს.

„შავი ზღვის მარგალიტის“ სახელით ცნობილი, საქართველოს სუბტროპიკული ქალაქი ბათუმი 2000 წელზე მეტია, ხიბლავს ვიზიტორებს. მას ყველა მიზეზი აქვს, მოგანდომოთ, თავად აღმოაჩინოთ იგი. ის ერთდროულად არის როგორც უძველესი, ისე თანამედროვე, გულუხვი, სტუმართმოყვარე და ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი საკვებითა და ღვინით დალოცვილი ქალაქი მსოფლიოში. რას ელოდები?“ - ასე იწყებს სტატიას ჟურნალისტი პიტერ მური.

ბათუმში მოგზაურობის მიზეზებს შორის გამოცემა ქალაქის არქიტექტურას, სანაპიროს, ბუნებას, აჭარის მთებსა და გემრიელ სამზარეულოს ასახელებს. „აჭარის მთები, რომლებითაც გარშემორტყმულია ბათუმი, უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, თვალწარმტაცი ფონი ქალაქისათვის. ზღვის დონიდან 1500-2200 მეტრზე მდებარე ციცაბო ფერდობები, დაფარული ხშირი ტყით, წყალუხვი ჩანჩქერებითა და ტბებით ერთდროულად სიმშვიდის თავშესაფარსა და სათავგადასავლო ადგილს წარმოადგენს“. აქვე ჟურნალისტი ხაზს უსვამს ეროვნული პარკების ბიომრავალფეროვნებასა და იუნესკოს აღიარებას.

Wanderlust-ის ყურადღების ცენტრში ექცევა ბათუმის ბულვარიც თავისი სანაპიროთი და ზღვისპირა არქიტექტურით, ასევე ქალაქის თანამედროვე და ძველი შენობების ნაზავი: „ბათუმი თვალწარმტაცი არქიტექტურის ქალაქია, სადაც მე-19 საუკუნის შენობები შერწყმულია თანამედროვე ცათამბჯენებთან. ბათუმს აქვს ყველაფერი - დაწყებული დიდებული ბაროკოს ნაგებობებიდან ანბანის კოშკის მსგავსი ულამაზესი „საინსტაგრამო“ შენობებით დამთავრებული“.

ქართული კულტურისა და ტრადიციების უკეთ შესაცნობად პიტერ მური მოგზაურებს ბათუმში სუფრაზე მოხვედრას ურჩევს, რომელიც, როგორც თავად აღნიშნავს, სავსეა ადგილობრივი კერძებით, ქედის უნიკალური ღვინითა და მასთან შერწყმული მრავალხმიანი ფოლკლორით. „იქნება ეს უნიკალური მრავალხმიანი სიმღერა, უძველესი აჭარული ცეკვები თუ სუფრასთან ასე მჭიდროდ დაკავშირებული სადღეგრძელო, ქეიფის ტრადიცია, ბათუმში კულტურა განუყოფლად არის დაკავშირებული საზოგადოების დღესასწაულსა და სტუმართმოყვარეობასთან. როგორც არ უნდა გადაწყვიტოთ აჭარაში დროის გატარება, სიურპრიზებით სავსე დასვენება გელოდებათ და უეჭველად დაბრუნდებით სახლში მოგონებებით, რომლებიც მთელი ცხოვრება თან გაგყვებათ“, - წერს ბრიტანული ჟურნალი.

**ამირან გურიელიძე**

## რუსეთი შეთანხმებას დაუბრუნდა

რუსეთი მარცვლეულის ექსპორტის შეთანხმებაში მონაწილეობას განაახლებს, - ამის თაობაზე რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა.

უწყებაში განმარტავენ, რომ ჰუმანიტარული დერეფნისა და უკრაინის პორტების რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ „სამხედრო ოპერაციების“ ჩატარების გამოუყენებლობის შესახებ საჭირო წერილობითი გარანტიების მიღება ოფიციალური კიევისგან შესაძლებელი გახდა.

„რუსეთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ ამ მომენტში მიღებული გარანტიები საკმარისად გამოიყურება და განაახლებს ხელშეკრულების შესრულებას“, - აღნიშნულია განცხადებაში.

მარცვლეულის ექსპორტის ინიციატივაში რუსეთის მონაწილეობის განახლებაზე ცნობებს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანიც ადასტურებს. მან პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ თურქ კოლეგას აცნობა, რომ შეთანხმება განახლდება.

**ამირან გურიელიძე**

## პოლონეთი პირველი აეს-ის აშენებას გეგმავს

პოლონეთის მთავრობის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, პირველი ატომური ელექტროსადგური პოლონეთში ამერიკული AP1000 რეაქტორების ტექნოლოგიის საფუძველზე აშენდება.

„ამერიკული ტექნოლოგიის არჩევანი არა მხოლოდ გააძლიერებს პოლონეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, არამედ მნიშვნელოვანი იმპულსი გახდება ჩვენი ეკონომიკის განვითარებისთვის“, - განაცხადა პოლონეთის კლიმატისა და გარემოს მინისტრმა ანა მოსკვამ.

მინისტრმა აღნიშნა, რომ პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში შეერთებულ შტატებთან პარტნიორობა პოლონეთის სუვერენიტეტისადმი და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისადმი ორივე ქვეყნის სტრატეგიული მიდგომის მტკიცე დასტურია.

„გრაფიკის თანახმად ვმუშაობთ. პირველი პოლონური ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა 2026 წელს დაიწყება, ხოლო 2033 წელს ატომური ელექტროსადგურის პირველი ბლოკი შევა ექსპლუატაციაში“, - თქვა მოსკვამ.

*ცნობისთვის: აქამდე პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ განაცხადა, რომ ატომური ელექსტროსადგურის მშენებლობა მთლიანობაში 20 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება.*

**ამირან გურიელიძე**

## ორი საუკუნის პანორამად

მე-5 გვერდიდან

- მე იმ გვარისა ვარ, რომელიც თავისი სისხლითა და ოფლით დაჭკირავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას ყოველ დროში და ვერ წარმოედგინა მსოფლიო საქართველოს გარეშე. ჩვენი ქვეყნის მომავალს ვხედავ ასე და მხოლოდ ასე: ძლიერი კავკასიის შუაგულში მოქცეულ ძლიერ საქართველოდ!... ძლიერი კავკასიის გარეშე საქართველო ვერასოდეს იქნება ძალმოსილი სახელმწიფო, ისევე როგორც კავკასია ვერასოდეს მიაღწევს ძლიერებას ძალმოსილი საქართველოს გარეშე.

**- რამდენად სამართლიანია ქვეყნის ახლანდელი ხელისუფლების პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებაში?**

- ეს პოზიცია ზუსტად ისეთია, როგორიც ფარისევლის, კოლაბორაციონისტის, სირაქლემას პოზიცია შეიძლება იყოს. სიტყვით - დასავლეთს გაიძახიან, საქმით - რუსეთუმეებად წარმოგვიდგებიან. ბარემ არ ენდომებოდათ ამ ომში უკრაინის გამარჯვება, მაგრამ რეალობა მათი მოლოდინის საპირისპირო აღმოჩნდა და უკვე აღარ იციან, რას მიაწყდნენ. ამ ომის წარმატებით დასრულება, ანუ რუსული იმპერიალიზმისა და შოვინიზმის გარდაუვალი მარცხი სხვაგვარად დაალაგებს მსოფლიო წესრიგს და საქართველოშიც შესაფერისი პოლიტიკური ცვლილება მოჰყვება - უთუოდ სასიკეთო ცვლილება, ჩვენს სახელმწიფოებრიობას როგორც შეშვენის და ეკადრება!..

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 2/11/22, 21 30 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# „არსიანი“ 100 წლისა

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

***აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“ საუკუნის გახდა. საიუბილეო თარიღი ანსამბლმა ბათუმის ხელოვნების ცენტრში გრანდიოზული კონცერტით აღნიშნა***

საღამოს ესწრებოდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მოადგილე აკაკი ძნელაძე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის თვალსაჩინო წარმომადგენლები, დედაქალაქიდან მოწვეული სტუმრები, ხელოვანები, ასევე ანსამბლის დამაარსებელ მელიტონ კუხიანიძის, მირიან ჩხიკვიშვილის, ენვერ ხაბაძის, ფატმან კობალაძის, თემელ მიქელაძის, იაშა ხალვაშის, ჟან რეზელიანის, მიხეილ კილაძის, ნოდარ დევაძის შთამომავლები.

ანსამბლი დაარსდა 1921 წელს, ხოლო პირველი კონცერტი 1922 წლის 11 ივლისს გამართა. 1961 წელს ანსამბლს საქართველოს დამსახურებული ანსამბლის წოდება მიენიჭა და მისი დამაარსებლის უკვდავსაყოფად, მელიტონ კუხიანიძის სახელობის გახდა. 2014 წელს გაიხსნა ანსამბლის მუზეუმი, ამავე წელს შეიქმნა დოკუმენტური ფილმი „დაარსებიდან დღემდე“. 2016 წელს ანსამბლმა აკადემიურის სტატუსი მიიღო. „არსიანი“ განვლილი გზითა და ტრადიციებით ერთ-ერთი ფლაგმანია საქართველოში. ანსამბლში მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი ხელოვანები, როგორებიც იყვნენ მელიტონ კუხიანიძე, მიხეილ ყუბანეიშვილი, დავით ჯავრიშვილი, არტემ ერქომაიშვილი, ალექსანდრე ჯიჯეიშვილი, ენვერ ხაბაძე, მირიან ჩხიკვიშვილი, ფატმან კობალაძე, თემელ მიქელაძე, იაშა ხალვაში, თოფან მელაძე, იური ცინცაძე (ციმციმა), ზურაბ ბაღდადიშვილი, გივი ჩიჩუა, თამაზ ბეჟანიძე, თამაზ ჯახუტაშვილი და სხვები...



2016 წელს გაიხსნა ანსამბლის სახელობითი ვარსკვლავი, 2017-ში მას „არსიანი“ ეწოდა.

ანსამბლმა საუკუნის განმავლობაში წარმატებით იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მის რეპერტუარშია საქართველოს ყველა რეგიონის სასიმღერო და საცეკვაო ფოლკლორის ნიმუშები. განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ქართული ფოლკლორის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. ხელოვნების ცენტრის ფოიეში მოეწყო ანსამბლის საცეკვაო სამოსის ექსპოზიცია და ფოტოგამოფენა მისი დაარსებიდან დღემდე, გაიმართა საიუბილეო წიგნი-ალბომის „საუკუნოვანი ისტორიით...“ პრეზენტაცია.

ანსამბლ „არსიანთან“ ერთად საღამოში მონაწილეობდნენ მაესტრო ნიკა ნიკვაშვილი, მომღერლები ეკა მამალაძე, ნუკრი კაპანაძე, სოფო ხალვაში, ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი.

საიუბილეო საღამოზე მოსული მაყურებელი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ აჭარას ჰყავს მაღალი საშემსრულებლო დონის კოლექტივი, რომელიც დამსახურებულად ატარებს აკადემიური ანსამბლის წოდებას. თითოეულ ნომერს მაყურებელი ოვაციებით და მხურვალე ტაშით ხვდებოდა.

ანსამბლს საიუბილეო თარიღი მიულოცეს იმ ადამიანებმა, რომელთა ცხოვრებაშიც მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

**რეზო ჭანიშვილი, ხელოვნების ქურუმი:**

- ორი წელი მქონდა ბედნიერება, აქ მეცეკვა, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. მერე თბილისში გადავედი და იქ გავაგრძელე მოღვაწეობა. 1955-1956 წლებშიც დიდი და სერიოზული იყო ეს ანსამბლი, მას უკვე ჰქონდა დამსახურებულის წოდება. შემდეგ ბევრი წელი გავიდა. ანსამბლი აკადემიური გახდა. მოვიგონებ ენვერ ხაბაძეს, მირიან ჩხიკვიშვილს, თამაზ ბეჟანიძეს, თემურ ბიბილეიშვილს, სხვებს, რომლებიც ამ დიდ ანსამბლში მოღვაწეობდნენ. აჭარის თითოეულ მცხოვრებს ვულოცავ ამ დიდებული ანსამბლის იუბილეს. მინდა ყველას მოვეფერო, მივულოცო ეს ეპოქალური თარიღი.

**ბაკურ ბაკურაძე, საღამოს რეჟისორი:**

- ვულოცავ „არსიანს“ იუბილეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც ისინი აკეთებენ. ყველა ანსამბლის ისტორიაში არსებობს პრობლემები. მით უმეტეს, ჩვენი ქვეყნის 30-წლიანი ისტორიის განმავლობაში იყო წლები, როცა ხელოვნებისთვის არავის ეცალა, მაგრამ როცა ამ კრიზისს დაძლევ და ტრადიციებს შეინარჩუნებ, მერე ასეთი კონცერტით წარსდგები მსმენელის წინაშე, ეს ნიშნავს, რომ შენ უკვე გამარჯვებული ხარ.

**გიორგი ჭანიშვილი, დირექტორი:**

- ბედნიერებაა, როცა ამ შესანიშნავი ანსამბლის საღამოს ესწრები და ეს ყველაფერი შენი ხელმძღვანელობით კეთდება. თითოეულმა თაობამ დადო თავისი წილი აგური „არსიანის“ მშენებლობაში და ყველანი დღეს საიუბილეო საღამოს თანამონაწილე გავხდით. ანსამბლში მოღვაწეობს როგორც ახალგაზრდა, ისე ძველი თაობა, ძველები ახლებს იმ ტრადიციებს გადასცემენ, რომელიც წინა თაობებისგან მიიღეს. დასანანია, რომ ამ დღეს ვერ მოესწრო ოთარ მიქელაძე. აქ ყველაფერი „არსიანის“ დიდი სიყვარულით კეთდება, ახალ თაობასთან ერთად, ასობით პატარა ეუფლება მოსამზადებელ ჯგუფებში ცეკვის ხელოვნებას. ჩვენ დიდი მხარდაჭერა გვაქვს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან. მაია ხაჯიშვილის ხელმძღვანელობით არაერთი ახალი გეგმა დაისახა და ვიცი, რომ ამ ყველაფერს განვახორციელებთ.

**ლიანა გაბისონია, მუსიკოსი:**

- შეიძლება ითქვას, რომ ამ ანსამბლში გავიზარდე, იმ ძველი თაობის წარმომადგენლების თვალწინ, რომლებიც მშობლების გვერდით ცეკვავდნენ. დღეს ბედნიერი ვარ, რომ ასეთი იუბილის მომსწრენი გავხდით. ამავე დროს გულისტკივილით მაგონდებიან ისინი, ვინც ამას ვერ მოესწრო. ახალგაზრდებს კი გზას დავულოცავ. ეს ანსამბლი უნდა იყოს კიდევ არაერთი წელი. ვუყურებ ფოტოგამოფენას და სიამაყით ვივსები, სითბო მეღვრება გულში, აქ ხომ ჩემი მშობლებიც არიან - გუგული გაბისონია და ფატმან კობალაძე.

**ჯემალ ჩიჩუა, აჭარის ვეტერან ქორეოგრაფთა ლიგის თავმჯდომარე:**

- „არსიანი“ არის მოვლენა, რომელსაც ასი წელი შეუსრულდა. მისი განვითარებისა და აქამდე მოტანისთვის ბევრი ადამიანი იღვწოდა. მე, როგორც მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა, მინდა უდიდესი პატივი მივაგო ენვერ ხაბაძეს. მან ეს ანსამბლი ისე დატოვა, ისეთი საფუძველი ჩაუყარა, რომ ყოველთვის იარსებებს, ხვალ და ზეგ კიდევ უფრო უკეთესი იქნება.

**თემურ ბიბილეიშვილი, აჭარის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლ „ხორუმის“ ხელმძღვანელი:**

- „არსიანი“ ხელოვანი ადამიანისთვის და განსაკუთრებით მისთვის, ვისაც შეხება აქვს ქართულ სიმღერასთან და ცეკვასთან, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანსამბლი. აქ შესანიშნავი პირობებია მუშაობისთვის, განვითარებისთვის, იმისთვის, რომ ქართულ ფოლკლორს მოუაროს. მეც ვიყავი ერთ დროს მისი წევრი, ვცეკვავდი. მერე ქორეოგრაფადაც ვიმუშავე 13 წელი, მაგრამ ძალიან ცუდი პერიოდი მომიწია, დაიშალა მთელი ანსამბლი და თითქმის ყველაფრის თავიდან აწყობა მომიწია. ეს არ არის პატარა საქმე. შემდეგ შევქმენი „ხორუმი“ და იქ ვმოღვაწეობ. ვულოცავ არსიანელებს სახელოვან იუბილეს.

**თემურ დოლიძე, სახელმწიფო ვოკალურ ანსამბლ „ბათუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:**

- მინდა მივულოცო როგორც ანსამბლს, მის თითოეულ წევრს, ისე აჭარის მთავრობას, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომ რეგიონში ასეთი ანსამბლი გვყავს. როგორც მომღერალმა, გამორჩეულად მინდა აღვნიშნო ლოტბარი გიორგი ჩხარტიშვილი, რომელიც შესანიშნავად უძღვება ამ საქმეს. არაჩვეულებრივი ფოლკლორისტია. პატივს ვცემ მის შრომას. მინდა მივულოცო ამ ახალგაზრდა კაცს და ჯანმრთელობა, წინსვლა ვუსურვო.

**ირინა კუხიანიძე, მუსიკოსი, მელიტონ კუხიანიძის შვილიშვილი:**

- ემოციებით სავსე დღეა. ჩემთვის ძალიან ამაღელვებელია ეს საღამო, სიტყვები არ მყოფნის, ბედნიერი ვარ. მადლობა ყველას ამ არაჩვეულებრივი, დასამახსოვრებელი დღისთვის.



**თემურ ქორიძე, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი:**

- ემოციებით ვარ დატვირთული. ჩემამდე აქ კორიფეები მოღვაწეობდნენ და მეამაყება, რომ ჩემი სახელიც დაუკავშირდა მას - საპასუხისმგებლო საღამოს ჩატარებით. მადლობა გიორგი ჭანიშვილს, გოგი ჩაჩავას, ანსამბლის თითოეულ წევრს, ვინც ამ საღამოში წვლილი შეიტანა.

**უჩა დვალიშვილი, პროფესორი:**

- ასი წელი მნიშვნელოვანი თარიღია. ანსამბლს დიდი დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე, დიდი წვლილი შეიტანა ქართულ კულტურასა და ხელოვნებაში. მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს მოღვაწეობენ ანსამბლში და მათაც, ვინც მისცა მას ასეთი ზეიმით აღენიშნა საიუბილეო თარიღი. მიხარია, რომ ამდენი ხნის შემდეგ ანსამბლი ცოცხლობს და ასე ლამაზად აგრძელებს ტრადიციებს. თითოეულმა გული და სული დადო დღეს სცენაზე.

**თემურ ჩხაიძე, ქორეოგრაფი:**

- ეს იყო ძალიან ამაღელვებელი საღამო თითოეული არსიანელისთვის, ვინც ამჟამად მოღვაწეობს ანსამბლში და ვინც მოღვაწეობდა, იმ ვეტერანებისთვის, რომლებმაც ასე სათუთად და ლამაზად მოიტანეს დღემდე დიდი შრომის, ჯაფის ფასად. მინდა მოვიგონო ის ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებმაც მუხლმოუდრეკლად იშრომეს და იღვაწეს, რომ ეს დღე დამდგარიყო. ვულოცავ ანსამბლს, ყველას ვულოცავ, ეს დღე მაყურებელსაც ეკუთვნის, რომელიც ტაშითა და შეძახილებით ამხნევებდა ანსამბლს ყოველი მისი გამოსვლის დროს.

საღამოზე წარმოდგენილი იყო არაერთი გამოჩენილი ქორეოგრაფის, ცნობილი ადამიანის ვიდეომიმართვა.

**ნინო სუხიშვილი, ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილები“ გენერალური დირექტორი:**

- ანსამბლმა თავისი არსებობის განმავლობაში არაერთი წარმატება ნახა და ძალიან დიდი როლი ითამაშა ქართული საშემსრულებლო ოსტატობის განვითარებაში. ვულოცავ და მთელი გულით ვუსურვებ ახალ წარმატებებს.



**თენგიზ უთმელიძე, ქორეოგრაფი:**

- ანსამბლი ბევრს მოგზაურობს და შესანიშნავ კონცერტებს მართავს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, ლამაზად წარადგენს ჩვენს კულტურას უცხოეთში. ვულოცავ „არსიანის“ მომღერლებსა და მოცეკვავეებს ამ დღეს, ადამიანებს, რომლებიც ქმნიან ჩვენს ღირსებას, უვლიან ჩვენს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

**მარიკა კვალიაშვილი, კომპოზიტორი:**

- ძვირფასებო, გილოცავთ თითოეულ თქვენგანს ამ წარმატებულ დღეს. საუკუნე პატარა თარიღი არ არის, თქვენ გაუძელით ალბათ დიდ წნეხს, ყველა წინაღობას და ჩვენამდე, იმ წინაპრებთან ერთად, მოიტანეთ ასეთი შესანიშნავი ანსამბლი. გისურვებთ დიდ წარმატებებს. არ დაიღალოთ, არ ჩაიმუხლოთ. გაუფრთხილდით წინაპრების მიერ თქვენამდე მოტანილ ანსამბლს, რათა შემდეგ თქვენ გადასცეთ მომავალ თაობას.

**იმედა კახიანი, მსახიობი:**

- ასეთ ასაკს ბევრი ანსამბლი ვერ დაიკვეხნის საქართველოში, გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ. ღმერთმა ქნას, სულ გვემღერებოდეს, სიყვარულით გვეცეკვებოდეს. ქართველ კაცს ეს შვენის, მაგრამ ისე კი არ გაიგოთ, რომ სულ უნდა ვმღეროდეთ და ვცეკვავდეთ, თავის დროზე შრომაც ვიცით... მაგრამ მგონია, რომ რაც ყველაზე ძვირფასი გაგვაჩნია, ეს არის ფოლკლორი. ეს არის განძი, რომელსაც საოცარი გაფრთხილება სჭირდება. არ შეიძლება ამაში წყვეტილობა, ეს ყოვლად დაუშვებელია. შეუჩერებლივ, ყოველთვის უნდა მივხედოთ ქართულ ფოლკლორს...

**მერაბ კოკოჩაშვილი, რეჟისორი:**

- ემსახურო შენს ქვეყანას ასი წლის განმავლობაში, თანაც იმ საქმის პოპულარიზატორი იყო, რომელიც ქართველების თვითმყოფადობის ერთ-ერთი უმთავრესი რამ არის, ეს ძალიან დიდი საქმეა.

**ელდარ შენგელაია, რეჟისორი:**

- გილოცავთ იუბილეს, კიდევ ასი წელი გეცეკვოთ და გემღეროთ.

**თეა წულუკიანი, საქართველოს კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი:**

- საქართველოს მთავრობის სახელით მინდა მივულოცო ანსამბლ „არსიანს“ ასი წლის იუბილე, ვუსურვო შემოქმედებითი წარმატებები, ახალი, ნიჭიერი თაობები და იმ ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება, რომლებმაც ეს ანსამბლი ასი წლის განმავლობაში აცოცხლეს.

კონცერტის ბოლოს სცენაზე ავიდნენ მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი. მათ მიულოცეს ანსამბლს სახელოვანი იუბილე.

ხელოვნების სფეროში შეტანილი წვლილისთვის ანსამბლ „არსიანის“ დირექტორი გიორგი ჭანიშვილი ტბელ აბუსერისძის სახელობის მეორე ხარისხით ორდენით დააჯილდოვა, ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის ანსამბლის არაერთი წევრმა კი დამსახურებული მოღვაწის წოდება მიიღო.

სხვადასხვა მნიშვნელოვანი ჯილდო გადასცეს „არსიანის“ წევრებს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა, კულტურის ინსტიტუტმა, საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიამ.

- ყველას ვულოცავ, ვინც ასე სათუთად შემოუნახა ჩვენს აჭარას, მთელ ქვეყანას ეს მართლაც გამორჩეული ფოლკლორული შემოქმედება. გამორჩეული დღეა და ცოტათი სევდიანიც, რადგან ამ ანსამბლის ყოფილი ხელმძღვანელი ოთარ მიქელაძე ვერ მოესწრო მას. მჯერა, რომ არსიანელების ეს თაობა კვლავაც ღირსეულად გააგრძელებს გზას ისე, რომ მათი შემოქმედებით ყველა ვიამაყებთ - ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

- ვულოცავ აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანს“ დაარსებიდან 100 წლის იუბილეს. უდიდესია ანსამბლის წვლილი ქართული ფოლკლორის აღორძინებასა და განვითარებაში. ანსამბლმა თავისი არსებობის განმავლობაში ხალხის სიყვარული და აღიარება მოიპოვა, რაც მაღალი პროფესიონალიზმისა და დაუღალავი შრომის შედეგია. კიდევ ერთხელ ვულოცავ და ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს, - თქვა არჩილ ჩიქოვანმა.

საიუბილეო კონცერტის დასასრულ სცენაზე სოლისტების მიერ უბადლოდ შესრულებულმა ილეთებმა მაყურებელი აღაფრთოვანა. ფეხზე ამდგარი დარბაზი გულმხურვალედ აჯილდოებდა ასწლოვან ანსამბლს მაღალი პროფესიონალიზმისთვის.

წარმატებული ყოფილიყოს არსიანელებისთვის ახალი ასწლეული!